საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯორებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 აგვისტო, 2014 წელი.

№170 (7551)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

წამლებიც გაძვირდა და საავადმყოფოთა მომსახურებაც!

რეცეპტების ეკონომიკური ფასი 4

რუხში რეგიონული მნიშვნელობის საავადმყოფოს მშენებლობა დაიწყო

გუშინ რუხში რეგიონული მნიშვნელობის საავადმყოფოს მშენებლობას ჩაეყარა საძირკველი.

„რუხში ვიწყებთ რეგიონული მნიშვნელობის საავადმყოფოს მშენებლობას. ამის იდეა ეკუთვნის ბატონ ბიძინა ივანიშვილს. მისი ინიციატივით თანამედროვე ტექნიკით და საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი კლინიკა აშენდება, რომელიც 220 საწოლზეა გათვლილი. ეს იქნება მრავალპროფილური კლინიკა. მშენებლობის ვადაც განვსაზღვრეთ და ის 2 წელიწადში უნდა დასრულდეს. საავადმყოფოს ძირითად კორპუსებთან ერთად აშენდება სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელიც“, — განაცხადა საზეიმო ცერემონიალზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, პროექტის ღირებულება 40 მილიონ ლარს შეადგენს.

„ეს საავადმყოფო სერიოზულად გააუმჯობესებს სამეგრელოში და მიმდებარე რეგიონებში სამედიცინო მომსახურების ხარისხს. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ერთმანეთთან დააკავშირებს ენგურის ორივე მხარეს, ჩვენი აფხაზი ძმები შეძლებენ აქ მკურნალობას“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. 600 ადამიანი დასაქმდება. არჩევნების წინ შევხვდი მოსახლეობას, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების შესახებ მესაუბრნენ. მათ დავპირდი, რომ ეტაპობრივად შევუდგებოდით პრობლემების მოგვარებას. ჩვენი ხელისუფლების საზრუნავი არის ადამიანი, მისი სოციალური პირობების გაუმჯობესება. დღეს საქართველოში თითოეული მოქალაქე არის დაზღვეული და ამ ხარჯებს ფარავს სახელმწიფო. მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენ დაპირებისამებრ ვაშენებთ ამბულატორიებს საქართველოს ყველა რაიონში, რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ჯანდაცვა. მე პირადად მივადევნებ თვალყურს მშენებლობის პროცესს, რომ მაქსიმალურად სწრაფად იქნეს აშენებული.

მ

დელეგაციას პრეზიდენტი უხელმძღვანელებს

საქართველოს პრეზიდენტმა უელსში დაგეგმილ ნატოს სამიტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართა, დაესწრნენ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დავით დონდუა.

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის წარმომადგენლებისაგან ნატოს უელსის სამიტის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

„სამიტი მოახლოვდა და დღეს ჩვენ ის პოზიციები განვიხილეთ, რაც ნატო-საქართველოს პაკეტთან დაკავშირებით გვაქვს. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, პრეზიდენტს ამ საკითხებთან დაკავშირებით ყველა დეტალი მოვახსენეთ. სამიტზე წასვლამდე კიდევ გვექნება შეხვედრა, სადაც სამინისტროები ერთობლივ წინადადებებს წარმოადგენენ“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ნატოს სამიტი უელსში 4-5 სექტემბერს გაიმართება. სამიტზე საქართველოს დელეგაციას ქვეყნის პირველი პირი გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს.

ვენდობით თუ არა ახალ გამოკითხვებს?

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობას საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა რუსეთთან არ მოსწონს.

შეკითხვაზე, მოგწონთ თუ არა საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა რუსეთთან, კატეგორიას „არ მომწონს“, რესპონდენტთა 73 პროცენტი ირჩევს. გამოკითხულთა 17 პროცენტს საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან მოსწონს, დანარჩენთაგან კი ნაწილმა შეკითხვაზე პასუხი არ იცის, ნაწილი კი მასზე პასუხისგან თავს იკავებს.

გამოკითხულთა უმეტესობის — 42 პროცენტის შეფასებით, რუსეთი საქართველოსთვის რეალურ და არსებულ საფრთხეს წარმოადგენს, 36 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ეს საფრთხე გაზვიადებულია, 15 პროცენტის აზრით, რუსეთი საქართველოსთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, 6%-მა კი შეკითხვაზე პასუხი არ იცის.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ არსებული ხელისუფლება მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს.

უფრო კონკრეტულად, მოსაზრებას, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს, გამოკითხულთა 8 % „სრულად ეთანხმება“, 44 % კი „ნაწილობრივ ეთანხმება„. აღნიშნულ მოსაზრებას „ნაწილობრივ არ ეთანხმება“ რესპონდენტთა 18 % და ასევე 18 % „საერთოდ არ ეთანხმება“. 12 %-მა პასუხზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება შეკითხვას იმის თაობაზე, საპარლამენტო ოპოზიცია რომ ხელისუფლებაში იყოს, რამდენად განახორციელებდა მნიშვნელოვან ცვლილებებს, საერთო ჯამში, გამოკითხულთა 24 % მიიჩნევს, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებდა (3 % „სრულად ეთანხმება“ მოსაზრებას, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებდა, 21 % „ნაწილობრივ ეთანხმება“), 20 % „ნაწილობრივ ეთანხმება“ ამ მოსაზრებას, „32 % კი „საერთოდ არ ეთანხმება“. შეკითხვაზე პასუხისგან უარი განაცხადა 23 %-მა.

NDI-ის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 50% მიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად. უფრო კონკრეტულად, შესაბამის მოსაზრებას გამოკითხულთა 26% „სრულად ეთანხმება“, 24% კი „ეთანხმება“.

რესპონდენტთა 8% სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბიძინა ივანიშვილი აღარ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან გადადგა.

რესპონდენტთა უმეტესობა თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. შეკითხვაზე, თვლით თუ არა თავს დასაქმებულად, აგვისტოში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, დადებითი პასუხი მხოლოდ რესპონდენტთა 32%-მა გასცა, 68% კი აღნიშნულ შეკითხვაზე ირჩევს კატეგორიას „არა“.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აპრილში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამავე შეკითხვაზე საპასუხოდ დასაქმებულად თავს 30% ასახელებდა, ხოლო უმუშევრად — 67%.

რესპონდენტთა უმეტესობის შეფასებით, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები მეტ-ნაკლებად კარგად ჩატარდა.

შეკითხვაზე — „როგორ ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები“, გამოკითხულთა 31%-მა აირჩია კატეგორია „ძალიან კარგად ჩატარდა“, 43% მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად კარგად ჩატარდა, 7%-ის აზრით ნაწილობრივ გაყალბდა, 1% კი თვლის, რომ სრულად გაყალბდა. 17%-მა შეკითხვაზე პასუხი არ იცის.

ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობის, 94%-ის თქმით, მას საარჩევნო სიასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნია. 4% ამბობს, რომ ამ კუთხით პრობლემებს წააწყდა, დანარჩენმა კი შეკითხვაზე პასუხი არ იცის.

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

ნატალია საბანაძე: თბილისი ნატოში გაწევრების სურვილს ნათლად და თანმიმდევრულად გამოხატავს

THE WALL STREET JOURNAL: დასავლეთს თავის კლუბში საქართველოს მიღება სურს

სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი გამოცდა თბილისს 4-5 სექტემბერს ელოდება, როცა ნატოს ლიდერები უელსის სამიტზე შეიკრიბებიან, საქართველოს შესახებ დღის წესრიგით. „ჯი-ეიჩ-ენი“ გვთავაზობს სტატიის თარგმანს.

„მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენაა მიპყრობილი. ამასთან დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია გზაგასაყარის წინაშე მდგარი კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთსა და ევროპის დაპირისპირებაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს — პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქართველო.

იმის შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ დასავლეთზე ზეწოლა განახორციელა, საქართველოს იმედი ჰქონდა, რომ ნატოს სამიტზე, რომელიც 4-5 სექტემბერს გაიმართება, მისი გაწევრების პერსპექტივა უფრო განმტკიცდებოდა. თუმცა, ნატოს ზოგიერთი ლიდერი ჯერ კიდევ ყოყმანობს.

საქართველომ ამას წინათ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებას, მაგრამ ოფიციალური თბილისის გადაწყვეტილებამ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე ევროკავშირის ზოგიერთი ჩინოვნიკის გაკვირვება გამოიწვია — ისინი შეშფოთებულნი არიან, რომ ექსპრეზიდენტის მიმართ წაყენებული ბრალდებები პოლიტიკურადაა მოტივირებული.

როგორ შეუძლია ევროპას, ამ პრობლემებს გვერდი აუაროს და ბრძოლა გაუმართოს მოსკოვს იმ ქვეყნების მეშვეობით, რომლებიც ერთგვარ საზღვარს წარმოადგენენ რუსეთსა და ევროპას შორის — უკრაინიდან დაწყებული, მოლდოვა-სომხეთით დამთავრებული? „ეს ერთ-ერთი საკვანძო მომენტია“, — ამბობს ნიკოლას ბერნსი, აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი ნატოში, — რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ქვეყნების ერთმანეთთან დაშორებას ცდილობს: საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, ბელარუსი — იგი ევროპას კვლავ დასავლეთად და აღმოსავლეთად ყოფს“.

ევროპასთან ინტეგრაციის მიზნით საქართველოს აშკარა ენთუზიაზმის მიუხედავად, პრობლემები მაინც რჩება — გამოვიდა თუ არა საქართველო თავისი კორუმპირებული წარსულიდან? მართალია, უკანასკნელ წლებში საქართველო, ნატოს სხვა არაწევრ სახელმწიფოებთან შედარებით, ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის (ავღანურ) მისიაში ყველაზე მეტი ჯარისკაცით იყო წარმოდგენილი, მაგრამ ნატოს ჩინოვნიკები მაინც ამბობენ, რომ ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია — რამდენად დემოკრატიულია საქართველო, რომ მან ნატოს წევრობა დაიმსახუროს? ამას სხვა დამატებითი სირთულეებიც ემატება: რუსეთს, რომელიც საქართველოში 2008 წელს შეიჭრა, დღემდე ოკუპირებული აქვს საქართველოს ორი რეგიონი — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი: ეს ნიშნავს, რომ საქართველო თავის ტერიტორიას სრულად ვერ აკონტროლებს.

ყველაზე დიდი გამოცდა თბილისს 4-5 სექტემბერს ელოდება, როცა ნატოს ლიდერები უელსის სამიტზე შეიკრიბებიან, საქართველოს შესახებ დღის წესრიგით. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ექვსი წლის წინათ განაცხადა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრიო, შესაბამისად, დღეს საქართველოს „გაწევრების სამოქმედო გეგმის“ („მაპ“) მიღება სურს, რაც ალიანსში სრული წევრობის სასტარტო მოედანს წარმოადგენს.

ნატოს ზოგიერთ წევრ ქვეყანას მიაჩნია, რომ საქართველოს ჩართვა გაწევრების სამოქმედო გეგმაში მოსკოვის გამოწვევას ნიშნავს. როგორც ჩანს, „მაპ“-ის მიცემის ნაცვლად ნატოს ლიდერები უელსში საქართველოსადმი მხარდაჭერას კი გამოაცხადებენ, მაგრამ შედარებით უფრო „მორიდებული“ სახით.

დღეს, როცა რუსეთი უკრაინას ემუქრება, ბევრს კითხვები ებადება — ხომ არ არის ეს იმ სისუსტის შედეგი, რომელიც დასავლეთმა 2008 წელს, საქართველოზე რუსეთის თავდასხმის დროს გამოავლინა და ამით ხელი შეუწყო ვლადიმერ პუტინს ყირიმის ანექსიაში?

„ჩვენ სამიტზე ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც საქართველოს ნატოსთან დააახლოებს, — აღნიშნა ინტერვიუში ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა, — ვამზადებთ მნიშვნელოვან პაკეტს საქართველოსთვის ისეთი ელემენტებით, რომლებიც ჩვენს თანამშრომლობას გააფართოვებს“.

ქართველი ლიდერები იმედგაცრუებულები არიან. „რასაკვირველია, საქართველოში გარკვეული წყენა შეინიშნება, — ამბობს ნატალია საბანაძე, საქართველოს ელჩი ევროკავშირში, — თბილისი ხომ ნატოში გაწევრების სურვილს სრულიად ნათლად და თანმიმდევრულად გამოხატავს“.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაშიც ეჭვებისა და „ნერვიულობის“ ერთგვარი საფუძველი გაჩნდა: გასულ თვეში საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოციირების შეთანხმება, რომელიც მხარეებს შორის პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს არეგულირებს. იმავე ხანებში კი საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ (მან თანამდებობა გასული წლის ნოემბერში დატოვა) და იგი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში დაადანაშაულა.

ევროკავშირმა ფრთხილი განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ასოციირების შეთანხმება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას გულისხმობს. იმავდროულად ევროპელი დიპლომატები კერძო კონფიდენციალურ საუბრებში შეშფოთებას გამოხატავენ, ვაითუ საქართველომ პოლიტიკური შურისძიების პრეცედენტი შექმნასო. თვითონ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ პროკურატურასთან არ ითანამშრომლებს.

„მიხეილ სააკაშვილს დასავლეთის სახელმწიფოთა დედაქალაქებში ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მას მეგობრების დიდი სია აქვს“, — ამბობს ბალაშ იარაბიკი, კარნეგის ფონდის მიწვეული მკვლევარი, — ჩემი აზრით, კონსენსუსი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდება სასამართლო პროცესი“.

დღეს, როცა რუსეთი უკრაინას ემუქრება, ბევრს კითხვები ებადება — ხომ არ არის ეს იმ სისუსტის შედეგი, რომელიც დასავლეთმა 2008 წელს, საქართველოზე რუსეთის თავდასხმის დროს გამოავლინა და ამით ხელი შეუწყო ვლადიმერ პუტინს ყირიმის ანექსიაში?

დასავლელი დიპლომატები ვლადიმერ პუტინის მოქმედებას საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ იმ დიდი თამაშის ნაწილად მიიჩნევენ, რომლის მიხედვითაც რუსეთი იკავებს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს და ამით ღებულობს ბერკეტს რუსული გავლენის სფეროს გასაფართოებლად.

ქალბატონი ნატალია საბანაძე ამბობს, რომ მისი ქვეყანა ამგვარ მცდელობებს ყველანაირად ეწინააღმდეგება: „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური სწრაფვა ძალიან ნათლად გამოვლინდა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან. იმ დროიდან მოყოლებული, ამ მიზნის მიღწევას საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა. ესაა სწორედ მათთვის გამაერთიანებელი“.

4-5 სექტემბერს სამხრეთ უელსში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი გაიმართება, რის გამოც ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც და მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქმის. ზოგი აღფრთოვანებით და, შეიძლება ითქვას, „ხბოს აღტაცებითაც“ შესცინინებს ნატოს გაფართოების მოლოდინს, ზოგი კი არ მალავს სკეპტიკურ განწყობას და თვლის, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების მოლოდინი ღრმა ორმოში მჯდომი ზებუს მიერ ზარის ჩამოკვრის მოლოდინს ჰგავს. არის უფრო რადიკალური მოსაზრებებიც, რომელთა ავტორები ძირითადად რუსეთის მორიგ გაღიზიანებაზე და ამ ზესახელმწიფოს არაპროგნოზირებად ქმედებებზე აპელირებენ. სამწუხაროდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამ მართლაცდა რეალური საფრთხის შესახებ მხოლოდ უნიათო განცხადებებით კმაყოფილდება. „საქართველომ ძალიან ბევრი გააკეთა, რათა აღდგენილიყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან. ეს არის წარმატება აბაშიძე-კარასინის ფორმატისა. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული ახალი ემბარგო, თუმცა, თუკი ეს ისევ განმეორდება, ჩვენ შევეგუებით და მოვერგებით ახალ სიტუაციას“.

ბუნებრივია, რომ ეს განცხადება ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს ქართველი საზოგადოების გაზრდილ ინტერესს ამ სამიტის შედეგების მიმართ. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ 20 ივნისს სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უელსის სამიტზე ნატო საქართველოსთვის „გაძლიერებული თანამშრომლობის“ პაკეტის მიცემით შემოიფარგლება. ამ ინფორმაციას „როიტერი“ ნატოს დიპლომატებზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელთა ვინაობასაც სააგენტო ანონიმურად ტოვებს. „ნატოს დიპლომატების განცხადებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ალიანსის ქვეყნებმა, რუსეთის გადამტერების თავიდან ასაცილებლად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოს მისცეს პირველი ფორმალური ნაბიჯი ალიანსში შესასვლელად სექტემბრის სამიტზე. ნატო-რუსეთს შორის დაძაბულობის მატებისა და მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი, რაც მას ნატოს წევრობის მიზანთან დააახლოებს, ალიანსში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი მოკავშირე ეწინააღმდეგება საქართველოსთვის მაპის მინიჭებას, შიშობენ რა, რომ ამას რუსეთის შურისძიება მოჰყვება, სხვები კი ამბობენ, რომ მაპის მიუნიჭებლობა გამოჩნდება ისე, თითქოს ნატო ამით თავს უხრის რუსეთის ზეგავლენას. ნატოს ერთ-ერთი დიპლომატის განცხადებით, ალიანსი 50/50-ზეა გაყოფილი და, შესაბამისად, შორსაა საჭირველი კონსენსუსისგან“.

იმისა მიუხედავად, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები წამდაუწუმ ამტკიცებენ საქართველოს ევროატლანტიკური სივრცისადმი სწრაფას, ერთგულებას და ინტეგრაციის უდიდეს სურვილს, საქართველოში არსებული რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ღიად აპროტესტებს საქართველოს ხელისუფლების ყოველგვარ რეალობას მოკლებულ იმედებს და აღფრთოვანებას და საპროტესტო აქციებით ცდილობს დანარჩენი საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.

უკვე დაანონსებულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ასევე უელსის სამიტის სავარაუდო შედეგებიდან გამომდინარე, რუსეთის ასევე სავარაუდო რეაქციასთან დაკავშირებით ვესაუბრე არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიული არჩევანის“ ხელმძღვანელს **ბარჩილ ჟყოიძეს.**

გინდ მაპიც იყოს და „მაპზე უკეთესიც!“

— ერთ-ერთ გაზეთში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრორუსულად განწყობილი ძალები, რომელთა მიზანი საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრებაა, შემოდგომაზე აქციებს გეგმავენ. ასევე გახმიანდა ინფორმაცია, რომ მოსალოდნელია სხვადასხვა სახის პროვოკაციები. რა მიზანი აქვს თქვენს აქციას, რომელიც 3 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან უნდა გაიმართოს?

— აქციის მიზანი საქართველოს ნატოში გაწევრების გაპროტესტება ნამდვილად არ არის. არ არის თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს ნატოში არავინ არ მიღებს, რაც ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებებში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ათასგვარ ტყუილს გვეუბნებოდნენ ნატოსთან დაკავშირებით. ჯერ იყო საუბარი მაპზე, შემდეგ გვითხრეს, რომ მაპზე უკეთესს გვაძლევდნენ, ახლა ისევ მაპზე და თქვენ წარმოიდგინეთ „მაპზე უკეთესზე“ უკეთესს გვაძლევენ. ამ ყველაფრისგან კი რეალურად რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას ვღებულობთ. ჩვენ ვამბობთ „არა ნატოს“ და ამ მკვეთრ განცხადებასაც თავისი მიზეზი აქვს. პირველი და, ალბათ, უმთავრესი ის არის, რომ ნატოში გაწევრება არ არის ქართველი ხალხის მოთხოვნა და აპელირება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებულ გამოკითხვაზე არ შეიძლება, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ იმ პერიოდში სააკაშვილის დიქტატურა მძვინვარებდა. რბილად რომ ვთქვა, იყო მოსახლეობაზე ზეწოლა და მუშაობდა ტოტალური გაყალბების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ ნამდვილი რეფერენდუმის ჩატარებას, რეფერენდუმისა, რომელიც რეალურად გამოაჩენს, სურს თუ არა საქართველოს მოსახლეობას გაწევრება იმ ორგანიზაციაში, რომელმაც სერბეთში 60-მდე ტაძარი და მონასტერი დაბომბა, ორგანიზაციაში, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში ათი ათასობით ადამიანი დახოცა! და როგორც არ უნდა ვაკრიტიკოთ სადამ ჰუსეინისა თუ მუამარ კადაფის რეჟიმები, ყველამ კარგად ვიცით, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ამ რეჟიმების პირობებში. მატერიალური მხარე რომ გვერდზე გადავდოთ, იქ ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობდნენ მუსულმანები და ქრისტიანები, სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მქონე ადამიანები.

— როდესაც ნატოს მიერ ჩადენილ საშინელებებზე საუბრობთ, არ დაივიწყოთ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების, ჩეჩნების მიერ ჩადენილი საშინელებები. ასევე, გთხოვთ გაიხსენოთ, თუ როგორ ბომბავდნენ ცხინვალიდან ქართულ სოფლებს მაშინ, როცა იქვე რუსი სამშვიდობოები იყვნენ განლაგებულნი.

— არავინ არ ამართლებს რუსეთის ქმედებებს საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ 2008 წელს ომი დაიწყო არა საქართველომ, არამედ მიხეილ სააკაშვილმა თავისი პატრონების ნებართვით. ამ საკითხზე დღეს აღარავინ დავობს და ეს აღნიშნულია როგორც ტალიავინის დასკვნაში, ასევე სხვადასხვა ექსპერტების შეფასებებშიც და სააკაშვილის თანამოაზრეების, მაგალითად ჯონ მაკკეინის განცხადებებშიც. ცხადია, ეს არ იყო კონფლიქტი. ეს იყო ომი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ რეგულარული სამხედრო შენაერთები, მაგრამ თუ შევადარებთ ამერიკელების მიერ წარმოებულ ომებს სერბეთში, ერაყში, ლიბანში დავინახავთ, რომ ამერიკელები ბომბავდნენ არა მხოლოდ სამხედრო ობიექტებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც. რუსებს კი, იმის მიუხედავად, რომ თავისუფლად შეეძლოთ თბილისის აღება, სამხედრო სარადარო სისტემებისა და რამდენიმე სამხედრო ობიექტს გარდა, თითქმის არაფერი არ გაუნადგურებიათ. არ იძარცვებოდა მოსახლეობა. პირიქით, ცნობილია, რომ კონფლიქტის ზონაში დარჩენილ მოსახლეობას საკვებითა და მედიკამენტებით რუსი სამხედროები ამარაგებდნენ.

რას მოგვიჯანს უელსის სამიტი?

— ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ რეალობა კი ის არის, რომ თბილისიდან 40 კილომეტრში დგას უცხო ქვეყნის ჯარი და საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ აქციას. თქვენი პროტესტი ამერიკელთა მიერ სხვადასხვა ქვეყნებში ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ არის მიმართული, თუ კიდევ გაქვთ რაიმე დამატებითი მოთხოვნები?

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაპროტესტებთ ნატოს ჯარების და კონკრეტულად ამერიკელების ქმედებებს, გვსურს, ყველას დავანახოთ ის ვანდალიზმი, რასაც ისინი სჩადიან კაცობრიობის წინააღმდეგ და ასევე ვადასტურებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ სურს ნატოში გაწევრება. ამისათვის კი მოვითხოვთ რეფერენდუმს.

ამერიკელებს წარმოგვიჩენენ, როგორც ფრთაშესხმულ ანგელოზებს, რომლებიც იცავენ დემოკრატიას. არადა, რეალურად, სადაც მათი ჩექმა დაიდგა, იწყება ამერიკის დიქტატი. იქ არის ომი, სისხლისღვრა, იკარგება ტერიტორიები. ავიღოთ თუნდაც უკრაინის მაგალითი. მაიდანი დაახლოებით 5 მილიარდი დოლარით დააფინანსა ამერიკამ და ამ ფაქტს თავადაც არ მალავენ. აქციებზე ჩადიოდნენ მათი ხელისუფლების წარმომადგენლები, კონგრესმენები და სენატორები. რა მიიღო ყველაფერი ამით უკრაინამ? დაპირისპირება რუსეთთან და დაკარგული ტერიტორიები. თქვენ თქვით, რომ ამ ყველაფრით შედეგი მიიღო რუსეთმა.

ერთი მხრივ, დაგეთანხმებით, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, რუსეთს იანუკოვიჩის მეშვეობით, ფაქტობრივად, მთელს უკრაინაზე ჰქონდა კონტროლი. თუ ამერიკას რეალურად სურდა ე.წ. „უკრაინული დემოკრატიის“ დახმარება, მოეცადა 10 თვე, არჩევნებში დახმარებოდა სასურველ კანდიდატს და ასე დაემყარებინა დემოკრატია. როდესაც საინფორმაციო საშუალებებში ამბობდნენ, რომ მაიდანზე იდგნენ მშვიდობიანი მომიტინგეები, ტყუილია. მოლოტოვის კოქტეილებით შეიარაღებული მომიტინგე არ არის მშვიდობიანი მომიტინგე. მომიტინგე, რომელიც შტურმით იკავებს შენობებს, არ არის მშვიდობიანი მომიტინგე, ხოლო ქართული საინფორმაციო საშუალებებით კიდევ ერთი ცინიზმი შემოგვთავაზეს, როდესაც მაიდანი 2007 წლის მოვლენებს შეადარეს. 2007 წელს თბილისში აქციების დროს, არამც თუ მოლოტოვის კოქტეილი, უბრალო ჯაყვაც არავის ჰქონდა. ამიტომაც ასეთი შედარება ამაზრზენია. თქვენს მიერ რადიო „საქართველოს ხმის“ ეთერში გახმიანებულ მოსაზრებას, რომ არსებობს გარკვეული შეთანხმება რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილების შესახებ, გარკვეულწილად დავეთანხმები. დასავლეთმა ხელი შეუწყო უკრაინის დაქუცმაცებას და რუსეთი, ფაქტობრივად, იძულებული გახდა გადაედგა რადიკალური ნაბიჯები.

რაც შეგვეხება ჩვენ, ცხადია, რომ არც ერთი საღად მოაზროვნე ქართველი არ აღიარებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასვლას საქართველოს იურისდიქციიდან, მაგრამ რას მოგვიტანს კონფრონტაცია? დიპლომატიის ბრწყინვალე მაგალითი მოგვცა პატრიარქმა. მაშინ, როდესაც ყოფილი ხელისუფლება რუსთაველის გამზირზე ზეიმობდა... ფაქტობრივ დამარცხებას, მან დაღუპული მებრძოლების ცხედრები გადმოასვენა. ის მოსკოვში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს და ამ შეხვედრის შემდეგ სოფელ პერევიდან რუსული ჯარები გავიდნენ, მაგრამ სააკაშვილის მოღალატური და უაზრო გამოხდომის შემდეგ, უკანვე დაბრუნდნენ. ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის ძალიან კარგად არის ცნობილი და ამიტომ სხვა მაგალითებზე არ დავკონკრეტდები. გამაღიზიანებელი გამოთქმების ნაცვლად, ჯობს პატრიარქის გზას გავყვეთ და ვეცადოთ, მოვახდინოთ რეალური დეოკუპაცია. ვისაუბროთ საბაჟო კავშირში საქართველოს გაწევრებაზე. შეგვიძლია, გავიხსენოთ, როგორ შევედით დსთ-ში. სოხუმის დაცემამდე იყო ერთგვარი შემოთავაზებები, რასაც გარკვეული ძალებიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. დსთ-ში სოხუმის დაცემის შემდეგ შევედით, რამაც არანაირი შედეგი არ მოგვიტანა. დღეს ჩვენ არა დასავლეთის, არამედ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.სტრასბურგსა თუ ბრიუსელში მიმდინარე პროცესები მათთვის არანაირი შედეგის მომტანი არ არის. ხელისუფლება იმიტომ ზის თავის სკამზე, რომ, უწინარესად, თავის მოქალაქეებს შეუქმნას ღირსეული ცხოვრების პირობები. დიპლომატიაც გამაღიზიანებელი კი არა, სწორედაც რომ დიპლომატიური უნდა იყოს. რუსეთი დღესაც აკეთებს განცხადებებს, რომ ევრაზიულ კავშირში მიიღებენ საქართველოს და არა აფხაზეთს, ან ოსეთს. სწორედაც რომ, საქართველოს. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ და არ დავაგვიანოთ, მითუმეტეს, რომ გვაქვს უამრავი საკითხი, რომლებიც მოლაპარაკებების დაწყებისთანავე უნდა გადაწყდეს. მაგალითად, მავთულხლართები. ბუნებრივია, რომ ეს ვერ იქნება მარტივი პროცესი, მაგრამ მხოლოდ დასავლეთის შეშფოთებების იმედად ყოფნა რეალურ შედეგს ვერ მოგვცემს. ასევე მინდა, ხაზი გავუსვა ამერიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის განცხადებას — მაშინებს ის, რომ საქართველო რუსეთს არ დაუახლოვდესო. მე მგონი აქ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია, რადგანაც მან პირდაპირ გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობების აღდგენის წინააღმდეგ.

— როდესაც მსგავსი აქციები ტარდება, ყოველთვის არის გარკვეული ძალებისგან პროვოკაციების საში შროება. რა პრევენციულ ზომებს მიმართავთ ამ საფრთხის ასაცილებლად?

— გეთანხმებით, რომ არსებობს პროვოკაციის საფრთხე, რისი გამოცდილებაც უკვე გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვიცავთ ყველა იმ წესს, რაც აქციის ჩატარებისთვის არის დადგენილი. ოფიციალური წერილებით მივმართეთ ქალაქის მერიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამიტომ მოვითხოვთ, რომ კანონის მთელი სიმკაცრით იქნას აღკვეთილი ყოველგვარი პროვოკაცია.

— და ბოლოს. საინტერესოა, საიდან ფინანსდებით?

— ეს საკმაოდ მგრძნობიარე საკითხია. როგორც ხედავთ, ჩვენი ოფისი არ არის ისეთი დონის, როგორიც დასავლეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებს აქვთ. ჩვენს ფინანსებს ძირითადად წევრების და რუსეთში მცხოვრები ქართველების შემოწირულობები შეადგენს, რომლებიც ჯამში 1000 დოლარს არ აღემატება.

დიდი მადლობა. წარმატებებს გისურვებთ.

გია გაბრიჭიძე

◎ ეროვნული ვალუტა

როცა ვითარება კონტროლდება

აგვისტო დასვენებისა და განტვირთვის თვეა, თუმცა, ეს პერიოდი მეტად აქტიური აღმოჩნდა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის: 1 აგვისტოდან მოყოლებული, ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა რამდენჯერმე შეიძინა უცხოური ვალუტა, ყოველ ჯერზე 20 მილიონი აშშ დოლარი იყიდა. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, განსაკუთრებული არაფერი ხდება: ეს ჩვეულებრივი სავალუტო ოპერაციებია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოში ლარზე მოთხოვნა გაიზარდა. ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში მცურავი გაცვლითი კურსი მოქმედებს, ლარის კურსი პერიოდულად ეცემა, მაგრამ მერე ისევ მყარდება, ბოლო ხანებში ლარი გამყარდა და მასზე მოთხოვნაც გაიზარდა, ამიტომაც სებ-მა გადაწყვიტა, რომ აშშ-ის დოლარი შეისყიდოს.

ეკონომიკის ექსპერტ **ვაჟა ბერიძის** აზრით, ეს ჩვეული ტაქტიკაა მიმოქცევაში არსებული ლარისა და უცხოური ვალუტის რაოდენობის დასაბალანსებლად.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული ბანკი წინასწარ განსაზღვრავს რისკებს და არსებული სიტუაციის შესაბამისად მოქმედებს, ეს ბუნებრივიცაა. ეროვნული ბანკი იმ ამოცანის შესაბამისად მოქმედებს, რაც დასახული აქვს: ის ადგენს, თუ როგორი უნდა იყოს თანაფარდობა სავალუტო რეზერვებს შორის და შემდეგ საჭირო ნაბიჯებს დგამს. წლევანდელ აგვისტოში მან რამდენიმე ეტაპად შეისყიდა დოლარი. როგორც ჩანს, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ზაფხულია და ქვეყანაში ტურისტების დიდი ნაკადია შემოსული. ტურისტებს კი შემოაქვთ უცხოური ვალუტა, რომელსაც ისინი ჩვენს ქვეყანაში ხარჯავენ, მით უმეტეს, რომ წელს საგრძნობლად მოიმატა სტუმრების რაოდენობამ დსთ-ის სივრციდან, მეზობელი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ზაფხულის ცხელ სეზონს „კაზანტიპიც“ დაემატა, რომელიც ასევე გარკვეული რაოდენობის ვალუტას მოიზიდავს და საქართველოში შემოსული უცხოური ვალუტის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ყოველივე ამან არ უნდა დაარღვიოს სასურველი თანაფარდობა ქვეყნის სავალუტო ბაზარზე, ამიტომ ეროვნული ბანკის მსგავსი ქმედება სავსებით მისაღები და აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისთვის.

ეს შესყიდვები თავიდან აგვარიდებს პრობლემებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში, ლარის გამყარებას მოჰყვება ხოლმე, ისევე როგორც — მის გაუფასურებას, თუმცა, ამ სიტუაციაში ლარის გამყარების ტენდენციაზე ლაპარაკი ნაადრევია. ბოლო თვეებში ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსი ხშირად იცვლებოდა უცხოურ ვალუტებთან შეფარდებით. არც განსაკუთრებული გამყარება ყოფილა და არც — გაუფასურება და თუ ასე გაგრძელდა, ლარის მერყეობა არსებით გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე ვერ მოახდენს. აქვე უნდა ვაღიაროთ: ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები იმის მაუწყებელია, რომ ჯერჯერობით ეს ბანკი სიტუაციას აკონტროლებს. ეს ცვლილებები საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელია დღეს არსებული კურსი ჩვენი ეკონომიკის განვითარების, ექსპორტ-იმპორტის წახალისებისა და ეკონომიკურ პროცესებში სასურველი ბალანსის მიღწევისათვის. ქვეყნის პირველი ბანკის მიერ დოლარის შესყიდვა — ეს არის გააზრებული აქტივობა, რომელიც მიმოქცევაში არსებული ჭარბი დოლარის მასის შემცირებას და ეკონომიკაში წონასწორობის შენარჩუნებას ითვალისწინებს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ თოქმაჯიშვილიც** ფიქრობს, რომ ამ სიტუაციაში ეროვნული ბანკი თავის ძირითად ფუნქციებს ასრულებს.

— „სებ-ი ცდილობს, ზომიერი ინფლაციაც დაიცვას, ფულიც მიაწოდოს ეკონომიკას და ამასთანავე, ზემოქმედება მოახდინოს ვალუტის კურსსა და საპროცენტო განაკვეთებზე — ეს მისი ძირითადი მოვალეობაა. საქმე ის არის, რომ როდესაც ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და ქვეყანაში ჩნდება მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე, ცენტრალურმა ბანკმა ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს, რათა სტიმული მისცეს და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აქტივობას. ამიტომ ეროვნულ ბანკს სისტემატურად უხდება გათვლა, რა უნდა გააკეთოს და როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. ეს მუდმივი პროცესია, ამიტომ, როდესაც ეკონომიკას ფული სჭირდება, მისი მიწოდება სწორედ ცენტრალურმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს.

ეროვნული ბანკი დოლარის შესყიდვას განაგრძობს

ყოველთვის, როცა უცხოური ინვესტიციები შემოდის და საგარეო ვაჭრობა იზრდება, ქვეყანაში ჭარბი რაოდენობის დოლარი შემოდის, განსაკუთრებით — აგვისტოში, როცა ტურიზმის სეზონია და ქვეყანაში ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტების რაოდენობა პიკს აღწევს. ამ სიტუაციაში ეროვნულმა ბანკმა აქტიურად უნდა იმუშაოს და მოსახლეობას მიაწოდოს ფულის ის მასა, რომელიც ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლო და აუცილებელია. უცხოური ვალუტის შესყიდვა სხვადასხვა ფაქტორით არის გამოწვეული, მაგრამ უმთავრესი მაინც იმპორტის ზრდა და ტურისტული ნაკადის მატებაა. ასე რომ, ეროვნული ბანკი პერიოდულად შეისყიდის დოლარს, რომ, როცა საჭირო იქნება, ეს ვალუტა ისევ ჩადოს ქვეყნის ეკონომიკაში“.

როგორ შეიძლება შეიცვალოს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში ახლო მომავალში ან ხანგრძლივ პერსპექტივაში, ამის პროგნოზი ექსპერტებს უჭირთ, რადგან ეს ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული.

— თუ იმპორტი გაიზრდება, საქართველოში კიდევ შემოვა უცხოური ვალუტა, ტურისტებიც გააგრძელებენ ფულის შემოტანას და ლარის გამყარება შემდგომ თვეებშიც შესაძლებელია, მაგრამ თუ ექსპორტის საჭიროება, ან სხვა რამ მოითხოვს, ამ შემთხვევაში პირუკუ პროცესი დაიწყება. თუ მეტყვით, რა მოხდება მეოთხე კვარტალში, რა რაოდენობის უცხოური ინვესტიცია შემოვა ქვეყანაში, ან რა პროცესები განვითარდება საგარეო ვაჭრობაში, მაშინ მეც გეტყვით, რა მოუვა ლარის კურსს, — ამბობს მიხეილ თოქმაჯიშვილი.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ჯანდაცვა

რეცეპტების ეკონომიკური ფასი

პირველი სექტემბრიდან წამლების დიდი ნაწილი აფთიაქში ურეცეპტოდ აღარ გაიყიდება. ამ გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც ფარმაცევტულ და სამედიცინო სფეროში, ასევე მომხმარებლებში. მედიკამენტების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან ერთად რეცეპტების სისტემას ეკონომიკური ფასიც აქვს. ბევრი ვარაუდობს, რომ ეს ცვლილება გააძვირებს როგორც ფარმაცევტულ, ასევე სამედიცინო მომსახურებას.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეცეპტების სისტემის დანერგვის თარიღის გამოცხადების შემდეგ მოქალაქეების ნაწილმა ხშირად გამოყენებადი მედიკამენტების შეძენა დაიწყო. შედეგად, მოთხოვნის უეცარმა ზრდამ ბიძგი მისცა ფასების მატების პროცესს. ეკონომიკის ამ კანონზომიერების პრაქტიკაში საჩვენებლად ოპოზიციური პოლიტიკური ძალის, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჟურნალისტებთან ერთად ერთ-ერთ აფთიაქს მიაკითხა:

„ეს არის ორი ქვითარი. ერთი არის 21 მაისის და იგივე დასახელების წამლები არის შეძენილი 18 აგვისტოს იგივე აფთიაქში. განვლილი (MK1) სამი თვის მანძილზე იმ ბაზისური მედიკამენტების ფასები, რომლებიც აქ არის ჩამოთვლილი, გაძვირებულია 10 პროცენტით“.

მედიკამენტების გაძვირების პროცესი წინა პერიოდშიც შეიმჩნეოდა, მაგრამ არა ცვლილების გამოცხადების შემდეგ განვითარებული მაშტაბით. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ერთი კვირის წინათ ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა და, რეფორმის კლინიკური ასპექტების გარდა ეკონომიკურ მხარეზეც ილაპარაკა:

„იგივე პარტნიორობისა და იგივე თანამშრომლობის ფორმატში, რითიც აქამდე მოვედით, იქნებ ამ ორი კვირის განმავლობაში უზრუნველვყოთ — იმ ფორმით, რითაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ — მოსახლეობის ერთგვარი დამშვიდება, რომ დეფიციტი და ფასების გაძვირება არ არის მოსალოდნელი“.

ჯანდაცვის მინისტრის მოწოდების მიუხედავად, მედიკამენტების ფასი მოთხოვნა-მიწოდების პრინციპს ეფუძნება და ის მოთხოვნის ზრდასთან ერთად, ანუ აფთიაქებში მოქალაქეების მიმართვიანობის მატებასთან ერთად, იზრდება. ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საკუთარი გადაწყვეტილებისა და მედიკამენტების ფასის მატების გამიჯვნას შემდეგი არგუმენტებით შეეცადა:

„ჯანდაცვის სამინისტრო ამ ფასწარმოქმნაში არ მონაწილეობს, იმიტომ რომ დაგვხდა სისტემა, რომელიც სრულიად კერძოა და თავად ბაზარი არეგულირებს ფასებს“.

თუმცა, მმართველი პოლიტიკური ძალა, რომელსაც დავით სერგეენკოც წარმოადგენს, ორიოდე წლის წინათ ხელისუფლებაში სხვა პროდუქციასთან ერთად წამლების გაიაფების დაპირებითაც მოვიდა. ეკონომიკის ექსპერტების ნაწილი, მათ შორის ირაკლი ლექვინაძეც, მედიკამენტების გაძვირების მიზეზებს ინფლაციურ პროცესებში ხედავს:

წამლებიც გაძვირდა და საავადმყოფოთა მომსახურებაც?!

„მედიკამენტებზე ფასების ზრდა ინფლაციური პროცესების შედეგია. დაახლოებით 3-პროცენტიანი ინფლაციაა, დღევანდელი მონაცემებით“.

მედიკამენტების გაძვირების სხვა მიზეზებზე საუბრობს ჟურნალ „ბიზნესი და მენეჯმენტის“ რედაქტორი, ეკონომისტი თემურ იობაშვილი. მისი აზრით, სახელმწიფო რეგულირების დაწესება აუცილებლად იწვევს პროდუქციის გაძვირებას.

„სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი ზრდა რეგულირებაში ნებისმიერ შემთხვევაში აძვირებს პროდუქციას. სახელმწიფოს მოუწევს გაცილებით მეტი რესურსის დახარჯვა, რათა არ დაუშვას დახლქვეშ ვაჭრობა. შესაბამისად, ეს ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯს, რაც გავლენას ახდენს იწვევს პროდუქციის ფასზე და გაძვირებას“.

ბოლო ორი წლის მანძილზე ჯანდაცვის სფეროში გატარებული ცვლილებების გამო არა მხოლოდ მედიკამენტების ფასის საერთო დონე გაიზარდა, არამედ ჯანდაცვის მომსახურებაც გაძვირდა. საყოველთაო უფასო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელების მიუხედავად, „საქსტატის“ პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით, ამ სფეროში ფასები 0.7 პროცენტით გაიზარდა. ირკვევა, რომ სამედიცინო პროდუქცია 0,5 პროცენტით, ხოლო საავადმყოფოების მომსახურება 1,7 პროცენტით გაძვირდა.

კახა მჭედლიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ ალიანჩალიანი

სამუშია თბილისის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ითხოვს

თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ჯაბა სამუშიას განცხადებით, „თბილისის გამგეობები და საქალაქო სამსახურები თავისუფალი დასახარჯი თანხის გარეშე არიან დარჩენილები“.

სამუშიას განმარტებით, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და სოციალური პროგრამების კუთხით.

— თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ძალიან დიდი პრობლემებია ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილშიც. თბილისის წინა მთავრობის მიერ ბიუჯეტი 785 მილიონი ლარით განისაზღვრა. აქედან 40 მილიონი ლარი ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოთა ქონების გადასახადიდან იყო გათვალისწინებული. თუმცა ამას არ ითვალისწინებდა არსებული საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნული ლაფსუსი არჩევნებამდე თბილისის ძველი მთავრობის წევრებმაც აღიარეს და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხიც დააყენეს, თუმცა, იმ მომენტში ეს ვერ მოხერხდა. რეალურად, დღეისთვის ეს თანხა თბილისის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. საჭიროა ბიუჯეტის მთლიანი ცვლილებები, როგორც რაიონების, ასევე მერიის სამსახურების ჩათვლით, — განაცხადა სამუშიამ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ბიუჯეტის ამ ფორმით დატოვება ნიშნავს იმას, რომ თბილისის რაიონების პარალიზება მოხდება ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტში. ჯაბა სამუშია მერიას მიმართავს გაითვალისწინოს მისი კომისიის მიერ მომზადებული ანალიზი და მოამზადოს ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

◎ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქვეყნო ნაბიჯი

ღმერთო, ღმერთო, ეს კარგი ხმა უფრო ხშირად გამაგონე!

2014 წლის 31 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით — „მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება“. წერილში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა ღია კრება, რომელიც მიეძღვნა დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველაზე აქტუალურ და სასიცოცხლო პრობლემას — მოსახლეობის კვების პრდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოებას.

...კარგი იქნებოდა რომ, ამ კრებაზე საქართველოს რეგიონებიდან მიეწვიათ არენდატორები, მიწის დიდი ოდენობით მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც უფრო საგნობრივად გააცნობდნენ მეცნიერებს რეგიონებში არსებულ მწვავე პრობლემას.

კარგია, რომ ღია კრებამ პრინციპულად შეაფასა სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენის მიზეზები და მოითხოვა შემუშავდეს 2020 წლამდე პერიოდისთვის დარგის კომპლექსური განვითარების პროგრამა, რომელშიც აისახება იმპორტშემცვლელი და საექსპორტო პროდუქციის წარმოების ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებანი.

ჩვენი აზრით, ეს უკვე არის სერიოზული გამოცოცხლება.

დღეს ვერავინ ვერ „დაამტკიცებს“, რომ „სოფლად ცხოვრობს ჩვენი მოსახლეობის 54 პროცენტი და ისინი აწარმოებენ მშპ-ს მხოლოდ 6 პროცენტს. ვერც მეცნიერები გამოაქვეყნებენ წერილებს სათაურით „გვჭირდება თუ არა მეცნიერება“ (მეცნიერება ყოველთვის სჭირდება ქვეყანას, არ სჭირდებოდა მხოლოდ ნაციონაურ ხელისუფლებას!).

მეცნიერების ასეთი აქტიურობა „ღმერთო, ღმერთო, ხშირად გამაგონე ჩემს მამულში“.

დღეს საქართველოსთვის აუცილებელია, რომ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ასეთივე ღია კრება ჩატაროს ჰიდრომშენებლობაში და ენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობის შესაფასებლად. აუცილებელია აღდგეს ჰესების მშენებლობის ის ძველი წესი (მეთოდი), რომლითაც დაკანონებული იყო მსოფლიოში ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მაღალი, ქართული სტანდარტი. საჭიროა ეკონომიკის სამინისტრომ ჰესების მშენებელ ორგანიზაციებს, ინვესტიციები გამოუყოს მათ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის ღია, საჯარო განხილვის საფუძველზე. განხილვაზე უნდა მიიწვიონ არა მარტო ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, არამედ სხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებიც.

ასეთი განხილვის შემდეგ შესაძლებელი გახდება საჭირო და მომგებიანი ობიექტების დაფინანსება და ბოლო მოეღება ნაციონალების ხელდასხმულების მიერ ქვეყნის ძარცვას.

ჰესების მშენებლობის საბაბით ქვეყნის ძარცვას კი, ნებისმიერი დაინტერესებული პირი ყოველ ნაბიჯზე დაინახავს.

ამას წინათ გულდასმით შევამოწმე სამი მცირე სიმძლავრის ჰესი... ორი „ექსპლოატაციაშია“ გადაცემული და არც ერთი არ მუშაობს, ვერც მომავალში იმუშავებს, რადგან მათი ასამუშავებელი წყალი იქ არ არის. ერთი ჰესი ბოლნისის რაიონში, ჩვენს თვალწინ აშენდა. არ გვიშველა არც სამუშაოთა მწარმოებლის გაფრთხილებამ, არც მუნიციპალიტეტის გამგებელთან ჩივილმა და არც პროკურატურაში საჩივრის შეტანამ (პროკურატურის სამხარეო სამსახურმა მოგვწერა, რომ ჰესი კანონიერად შენდებაო!), ჰესი აშენდა და უმოქმედოდ დგას, არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. სხვა ჰესებიც, ალბათ, ასე შენდება და იხარჯება ამდენი უცხოური ინვესტიცია.

რადგან საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩაწერილია, რომ „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარებას, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მყარი საფუძველი აქვს, განიხილოს ჰიდრომშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა და სათანადო რეკომენდაციები მისცეს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ჰიდრომშენებლობაში და ენერგეტიკაში მდგომარეობის გამოსწორება საშუალებას მისცემს ქვეყანას, მყარი ნაბიჯები გადადგას ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობისაკენ.

ნუგზარ კოგანიძე,
ბოლნისი-თბილისი.

P. S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ვენახებში ყურძნის მოსავლის თითქმის ერთიანად განადგურების მიზეზი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემოტანილი იაფფასიანი და უვარგისი შესაწამლი საშუალებები ყოფილა.

ჯერჯერობით, აქაც არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს!

როდემდე?

ნაციონალური მმართველობა ქვეყანაში სისტემური დანაშაულების დამფუძნებელი და ხელისშემწყობი იყო, ეს სისტემები, უპირველესად, ქვეყნის ეკონომიკაში დაინერგა. მათ შორის, ენერგეტიკაში და სოფლის მეურნეობაში. ბოლნისის რაიონი ამის სამწუხარო მაგალითია.

ამ გლობალური პრობლემის მოწესრიგება ქართული ოცნების ხელისუფლებისთვის მართლაც რომ საშური საქმეა.

ნ. კ.

◎ განათლება

რა სიახლეები დახვდებათ მოსწავლეებს სკოლაში?

ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ნამდვილად ვიცი, მოსწავლეებს არ გაახარებს ისაა, რომ სასწავლო წლის ხანგრძლივობა მთელი ორი კვირით იზრდება და ისიც ზამთრის არდადეგების ხარჯზე, რომელიც აქამდე თითქმის მთელი თვე გრძელდებოდა. განვითარებული ქვეყნების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო წელი 36 კვირისგან შედგება და საქართველოც ვალდებულია, ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს. თუმცა, მხოლოდ ეს ცვლილება როდია, რადგან მთელი რიგი კომპლექსური სამუშაოები ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გასატარებლად.

გასულ წელს ახალი სკოლების მშენებლობა დაიწყო, რომელიც მთლიანად 2015 წელს დასრულდება. ამჯერად კი 1500-ზე მეტი სკოლა ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით, ავეჯითა და ინვენტარებით შეხვდება.

მანდატურის ინსტიტუტი რჩება, მხოლოდ უფრო მოდერნიზებული სახით. ისინი პასუხისმგებელნი იქნებიან მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და არა სასწავლო პროცესზე, რომლის მონიტორინგსაც აქამდე ეწეოდნენ და ლამის დირექტორთა დირექტორებად გვევლინებოდნენ ხოლმე. შეზღუდული ფუნქციებით საჯარო სკოლების დიდი უმრავლესობისთვის მანდატურების ინსტიტუტი მისაღებია.

ძალიან დროული და მნიშვნელოვანი პროექტია სკოლებში ექიმების კაბინეტის გახსნა. სკოლის ექიმის საქმიანობის საპილოტე პროგრამა 100 საჯარო სკოლაში განხორციელდება. ექიმების შერჩევა საკუთარ თავზე აიღო ჯანდაცვის სამინისტრომ, მაგრამ ინვენტარით, მედიკამენტებით და სხვა რესურსებით ფინანსურ უზრუნველყოფას, ექიმის ხელფასს განათლების სამინისტრო აანაზღაურებს. წლების განმავლობაში სკოლების უმეტესობა დამოკიდებული იყო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მომსახურებაზე, არ არსებობდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ბაზა. სკოლაში ხშირად ხდებოდა ეპიდაფეთქებები, არ იყო დაცული ჰიგიენური ნორმები და სხვა. ამიერიდან მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას ადგილზევე მიიღებენ, თანაც კვალიფიციურად. სკოლის ექიმები ზოგადი პროფილის იქნებიან და ისინი რეცეპტებსაც გამოიწერენ.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს: როგორც იცით, 2013 წლიდან ყველა საჯარო სკოლის მოსწავლე სახელმძღვანელოებს უფასოდ იღებს. ასევე კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახის შვილები, ომში დაღუპული მეომრის შვილები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქართული სკოლის მოსწავლეები. გამომცემლობების დიდი წნეხის მიუხედავად, განათლების სამინისტრომ ტენდერის საფუძველზე „გაერთიანებული ქართული სტამბა“ შეარჩია, სადაც დაბეჭდილი ერთი სახელმძღვანელოს ღირებულება საშუალოდ 2 ლარი და 30 თეთრია. ეს კი გაცილებით იაფია წინა წლებში დაბეჭდილ წიგნებთან შედარებით. განათლების სამინისტროში ირწმუნებიან, რომ გაუმჯობესებულია ქაღალდის და საღებავის ხარისხიც, ასევე სახელმძღვანელოები უფრო მსუბუქი და გამძლეა, რაც ბევრად აიოლებს მის მოხმარებას.

საინტერესოა, გასული სასწავლო წლის კვლევის შედეგები: მთელი პროცესის განმავლობაში სახელმძღვანელო 195 მშობელმა ჩაანაცვლა, რადგან წიგნი მოსწავლემ დაკარგა, ხოლო 25 მოსწავლის მშობელმა სხვადასხვა მიზეზით უარი თქვა სახელმძღვანელოს მიღებაზე.

მომდევნო წლიდან შეიცვლება სახელმძღვანელოთა გრიფირების წესი, ასევე არჩევის წესიც, რომელსაც აქამდე პედაგოგები პირადი მოსაზრებების მიხედვით ადგენდნენ. სიახლე ელოდებათ მე-5 კლასელებს. მათ ნაცვლად მე-7 კლასისა, აქედანვე მოუწევთ მეორე უცხო ენის ათვისება. სახელმძღვანელოებიც უკვე მზადაა.

წელს 46 ათასი პირველკლასელი მიაშურებს სკოლას, ხოლო მათ მერხზე წიგნებთან ერთად საყვარელი გასართობი — კომპიუტერი დახვდებათ. ის არ იქნება სათამაშო ფორმის დიზაინისა, არამედ მხოლოდ მოცულობით იქნება განსხვავებული „ნამდვილისგან“. პორტატული კომპიუტერი კომპანია UGT-მა შეიძინა, რომელიც ACER-ის წარმოებულია. იგი ტექნიკური მახასიათებლებითაც ბევრად აღემატება წინამორბედს. შემცირებულია წონა — 250 გრამით, ხელში არ სრიალებს და უძლებს 70 სმ-იან ვარდნას. აქვს უახლესი თაობის პროცესორი, გაუმჯობესებულია დენის წყარო, განსაკუთრებით დახვეწილია ეკრანის ზომა და გარჩევადობა.

15,6 ინჩიანი კომპიუტერები გადაეცემათ პირველკლასელთა დამრიგებლებსაც, რომლებმაც უკვე გაიარეს ტრენინგები ამ კუთხით. კომპიუტერში ჩაწერილი სავარჯიშოები — თამაშები შეესაბამება სასწავლო პროგრამას. ეს არის დაახლოებით 50 განსხვავებული აქტივობა სხვადასხვა საგანში (ქართული, მათემატიკა, ბუნება, ხელოვნება და ა. შ.). ამასთან ერთად, მასწავლებლები თავად შექმნიან სასწავლო ელექტრონულ რესურსს, რომელსაც ქსელური მეცადინეობისას გამოიყენებენ...

მოკლედ, სკოლა ორიენტირებული ხდება ბავშვზე, მაგრამ ამავე დროს რთულდება მასწავლებელთა კვალიფიკაცია და მოთხოვნები. როგორც დეპუტატი ელისო ჩაფიძე ამბობს, **„დღეს 68 ათასი პედაგოგიდან მხოლოდ 12 პროცენტია სერტიფიცირებული, ხოლო 10 პროცენტს უმაღლესი განათლება არა აქვს — ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს.“**

განათლების მინისტრიც პედაგოგთა აუცილებელ კვალიფიკაციაზე აკეთებს აქცენტს: **„ამ სისტემის ფარგლებში, უპირველესად, უმაღლესი განათლება უნდა მივცეთ პედაგოგს. ის თავიდანვე უნდა იყოს მომზადებული. როგორც წესი, პედაგოგიკა რეგულირებადი სფეროა, თუმცა, ამასთან მიმართებაში აქამდე არ არსებობდა არც სტანდარტი და არც საკვალიფიკაციო ჩარჩო. ეს დეტალები ახლა კეთდება, ჩვენ გადავამზადებთ უკვე მოღვაწე პედაგოგებსაც. მათ განვითარების საშუალება მიეცემა. შემოგვაქვს ევროპაში ფართოდ დამკვიდრებული კრედიტების დაგროვების სისტემა, ანუ მასწავლებელი თავისი ცოდნისა და მიღწევების მიხედვით გარკვეულ კრედიტებს აგროვებს და ამის მიხედვით ის რჩება თავის ადგილას, ან წინ მიიწევს. ცხადია, შემოდის შეფასების კომპონენტიც. ეს იქნება გამოცდა, საგნობრივი ტესტი, კლასში მუშაობის მეთოდიკა...“,** — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

და ბოლოს, წლეულს არა, მაგრამ გაისად ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო ასპექტი იქნება სასწავლო პროცესში მშობლის აქტიური ჩართვა. 2015 წელს სპეციალური პროგრამა მშობლის განათლებას დაეთმობა, რაც თავისთავად ერთმანეთთან დააკავშირებს სკოლასა და ოჯახს.

ასე რომ, წინ რამდენიმედღიანი არდადეგები კი არის, მაგრამ 15 სექტემბრიდან საინტერესო ამბები ელოდება მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელსაც...

თეა მოსია

ზოგი - მგლისკენ, ზოგიც - თხისკენ

მგელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“, თხა — „ქართული ოცნება“.

სხვათა შორის, მგელი არც ისეთი ბოროტი მტაცებელია, ტრადიციულად რომ წარმოგვიდგენია. მაგალითად, იჩქერიის ჰიმნს რომ მოუსმენ, მგელი შეგიყვარდება.

ასე რომ, ეს ეპითეტი ნაც(იონალ)ებს კი არ უნდა ეწყინოთ, უნდა გაუხარდეთ.

რაც შეეხება „ოცნებას“, თუ უწყინარ თხასთან შედარება ეწყინებათ და ცოტას გაღიზიანდებიან, ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, იქნებ ყურები გამოიფხიკონ და ზედმეტად თავგასულ ნაც(იონალ)ებს ხანდახან მაინც ურქინონ.

რუსთაველი ამბობს: „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“.

ეტყობა, „ვეფხისტყაოსანში“ მაინცდამაინც ეს ადგილი ამოიკითხეს და სათავისოდაც გაიგეს: „ერთად ძოვებას“ კოჰაბიტაცია დაარქვეს და ძოვდნენ კიდეც შეხმატკბილებულად.

ბოროტი ენები ამბობენ, პარლამენტში დღესაც ერთად ძოვენ, არ დაიჯეროთ მათი კინკლაობა, ეს მხოლოდ ტელეკამერებისთვის თამაშდება, საღამოობით კი რესტორანში ერთად ქეიფობენო...

რას აღარ იტყვიან ბოროტი ენები...

სევდიას სევდა...

დედაქალაქის ახალ საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი.

ყოფილი ზვიადისტი.

ალბათ, შეიცხადებს — რას ჰქვია ყოფილიო.

არადა, ზვიადიზმისა (ანუ პატრიოტიზმის)და მიშიზმის (ანუ ვითომ ნაციონალიზმის) შეთავსება გაცილებით უფრო ძნელი წარმოსადგენია, ვიდრე ის, რომ „თხა და მგელი ერთად ძოვდეს.“ — ამას თვით გენიალური რუსთაველიც ვერ წარმოიდგენდა.

* * *

ძალბატონ სევდიას კი შეუთავსებელთა შეთავსება სულაც არ უჭირს.

არც ის უჭირს, ცხრაწლიანი „ნაციონალური“ უსამართლობის შემდეგ, ისევ ნაც(იონალ)ების სახელით, სამართლიანობაზე რომ ილაპარაკოს.

მოიღერებს ყელს საკრებულოს სხდომაზე და „ჩამჭრელ“ შეკითვას ისეთი უცოდველი სახით დასვამს, თითქოს, გიგი უგულავას მოადგილე და შემდეგ სულაც მერის მოვალეობის შემსრულებელი ის კი არა, სხვა ყოფილიყოს.

კი, ბატონო, კარგია, დედაქალაქის მთავარ არქიტექტორს რომ ვირჩევთ (იცის, ამის უარყოფა მეტისმეტი იქნებოდა), მაგრამ კონკურსი უნდა გამოგვეცხადებინაო, — ამას ისე იტყვის, თითქოს ვინმე უშლიდათ კონკურსის გამოცხადებას. თუმცა, მეც კაი ვინმე ვარ: თვით პრეზიდენტი უშლიდათ, თვითონ მიშას არ უნდოდა, რომ დედაქალაქს მთავარი არქიტექტორი ჰყოლოდა, რადგან თავად იყო...ქვეყნის მთავარი არქიტექტორი.

ქალბატონ სევდიას მაშინ პროტესტი არ უჩნდებოდა.

არც მაშინ, ნაც(იონალ)ებმა დედაქალაქს გაზეთი რომ წაართვეს.

სხვათა შორის, მერის მოვალეობას რომ ასრულებდა, განცხადებით მივმართე, შანსი გაქვთ, ისტორიაში იმით შეხვიდეთ, რომ თბილისს „თბილისი“ დაუბრუნოთ-მეთქი.

ყურიც არ შეუბერტყავს. პასუხად ისევ ქაცარავას წერილი მივიღე (უკვე მერამდენედ): „სამწუხაროდ, თანხა ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის“..

თუ არ გაითვალისწინებდნენ, საიდან იქნებოდა??.

ამ დროს ქალბატონი სევდია მთელი ქალაქის ადვოკატი იყო.

სწორედ ასე ერქვა ორგანიზაციას, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა და რომლისთვისაც ბიუჯეტში თანხა ყოველთვის იყო გათვალისწინებული.

ამ „ქალაქის ადვოკატს“ ერთხელ ტელეეთერში ჰკითხეს, ოცდაექვსი მაისის შემდეგ პროტესტი რატომ არ გამოთქვითო.

პასუხი გამაოგნებელი იყო — ჩემი უშუალო საქმით ვიყავი დაკავებულიო...

...ორიოდე წლის წინათ ქუჩაში ვხვდები. ჩვეულებრივი ურთიერთმოკითხვის შემდეგ ვეუბნები: „ბატონი მინდია როგორ ბრძანდება, კარგა ხანია, არ მინახავს.“

სახე ეღრუბლება და მკაცრად მომიგებს: „ჩვენ არ გვაქვს ურთიერთობა.“

სამაგიეროდ, ქალაქის ადვოკატი იყო, ამჟამად კი — ნაც(იონალ)ების ადვოკატი.

გიკვირთ?

„ეკა ხოფერიას შოუ“

სტუმარი — ლევან ბერძენიშვილი.

საუბრობენ დიეტაზე და ... ცხრა აპრილზე(??).

ხოფერიას შეკითხვები გასაგებია — როდის ყოფილა გასაგები?

გასაკვირი ბერძენიშვილის პასუხებია.

მას არც განათლება აკლია (თუმცა, ბოროტი ენები აქაც ჩნდებიან და ამბობენ, ნაკითხობა და გა-ნათლება სხვადასხვა რამ არისო) და არც ლოგიკა, მაგრამ ამ გადაცემის შემყურე ამას ვერ იტყვი, განსაკუთრებით ლოგიკაზე. მაგალითად: თურმე, იმის გასაგებად, რომ თირკმელი გაწუხებს, აუცილებელია, ცოლმა ძმრით ფეხი დაგწვას (ეს რა ტელევიზიით საღლაპარაკოა, მით უფრო მაშინ, როცა პარლამენტარი ხარ)...

ეს კიდევ არაფერი: თურმე ცხრა აპრილზე მნიშვნელოვანი ათი აპრილი ყოფილა, რადგან...ბერძენიშვილი, საკუთარი ინიციატივით, უნივერსიტეტის სტუდენტებს აკავებდა, რაიმე პროვოკაციას რომ არ წამოგებოდნენ...



ზვიად გამსახურდია და მისი ღვაწლი რა სახსენებელია.

არც უხსენებია.

შესაშური იყო ბერძენიშვილის თავმდაბლობა: მამამისი — აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, უჭკვიანესი და უპატიოსნესი კაცი ბრძანებულა (ეს განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან იმ დროს თითქმის ყველა მოსამართლე კორუმპირებული იყო), დედამისი — შეუდარებელი პედაგოგი, რომელსაც მოწაფეები აღმერთებდნენ.

ამ ყოველივეს რა სჯობს, მაგრამ ერთი სინანულიანი კითხვა მაინც ჩნდება: იმ სულგანათლებულმა პედაგოგმა რატომ ვერ გააგებინა საკუთარ შვილს ილიასა და აკაკის ფასი? ხომ ვერასოდეს დავივიწყებთ მის ისტორიულ ფრაზას: „ილია ჭავჭავაძე? — ასეთი მწერალი არ მახსენდება...მაინცდამაინც არც აკაკი მომწონს“...

...და იყო ამ შოუში კიდევ ერთი აღმაფრთოვანებელი ეპიზოდი — ამჯერად, რაინდობისა და ტაქტიანობის იშვიათი ნიმუში. ცხრა (უფრო ზუსტად, ათ) აპრილზე რომ საუბრობდნენ, ბერძენიშვილმა იური როსტის მაშინდელი სიმამაცე გაიხსენა და ხოფერიას მიმართა: „იმ დღეს პირველად და უკანასკნელად ვნახე პროფესიონალი ჟურნალისტი.“

ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა ქალბატონს, რომელიც ოდნავადაც არ ეჭვობს, რომ პროფესიონალი ჟურნალისტია.

ვაი, რომ არ ეჭვობს...

წლების წინათ, როცა ილიასა და აკაკის გამო ბერძენიშვილი გავაკრიტიკე, ჩემი თანამშრომლები შიშით კანკალებდნენ, გაზეთს დაგვიხურავენო.

გაზეთი „თბილისი“ ნაც(იონალ)ებმა მართლა დახურეს, მაგრამ ამაში ბერძენიშვილის ხელი ნამდვილად არ ერია — მისმა ყოფილმა თანაგუნდელებმა დახურეს.

თუ მისი ამჟამინდელი თანაგუნდელები „თბილისს“ არ აღადგენენ, ამასაც ბერძენიშვილს არ დავაბრალებ.

იმას თავისი ცოდვებიც ეყოფა....

იოსებ ჟუმბურიძე

◎ კაკალ გულში

მეტი რაღა გინდათ, ვეჟო!

● **ის, რაც ვერ შეძლეს საპროტესტო აქციებმა და მამაოებმა, თავისუფლად მოახერხეს ანაკლიელმა მცირე მეწარმეებმა.**

გაუმარჯოს ქართული მორალის და ტრადიციების მხსნელ ქართულ მცირე ბიზნესს!

● **კაზანტიპს რომ თვალყურს ადევნებენ, ისეთი ყურადღება თუნდაც სოფლის მეურნეობას რომ ჰქონდეს, საზამთრო 10 თეთრი ეღირებოდა.**

● **წყლის გადასხმა გასაგებია, მარა საინტერესოა, „ჩვენი სელებრითებიდან“ ფული ვინ გადარიცხა?**

● **წყლის გადასხმის მაგივრად, ცივი ლუდი რო დავლიო არ ჩამეთვლება?**

● **მადლობა მთავრობას ხალხზე ზრუნვისთვის!**

მადლობა იმისთვის, რომ რუსთავის მე-6 დაწესებულებაში სიმშვიდეა;

იმისთვის, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფი არ გაიზრდება;

იმისთვის, რომ სომხეთთან სავაჭრო ბრუნვა 42%-ით გაიზარდა;

რომ „სითი პარკის“ წარმომადგენლებს მერიაში მოუსმინეს;

რომ საგარეო უწყება საპატიო კონსულების პრეტენზიებს პასუხობს;

რომ საგამოძიებო სამსახური კიდევ 12 ორგანიზაციას ამოწმებს;

რომ კლასის დამრიგებლებისა და მშობლების რეგულარული კომუნიკაცია სავალდებულო ხდება;

რომ პრეზიდენტი კონსტიტუციის გარანტი იქნება და არ დაჰყვება პოლიტიკურ კონიუნქტურას...

მეტი რაღა გინდათ, ვეჟო?

წერტილოვანი ფრაზები

● **იცით რა მითხარით: icebucketchallenge აქციაში რომ არ მივიღო პირდაპირი მონაწილეობა და არ ვიწუწავო, ბოროტი, გულღრძო და ვიგინდარა გამოვდივარ? ეს შეგრძნება (ყინულიანი წყლის გადასხმა) ზუსტად ვიცი როგორიცაა, გამომიცდია და ნამდვილად საშინელებაა... მაგრამ რაღაც ე.წ. „სვეტსკი ტენდენცია“ გამოვიდა უკვე, ვინ რითი ისხამს და სად ისხამს ამ წყალს საოცარია პირდაპირ. ვინ როკოკოს, ვინ ბაროკოს, ვინ ბროლის, ვინ ფაიფურის დ. ა.შ. თასებით, ვინ აბაზანებში ,თუ კაი მოკაფელებულია ოღონდ, ვინ ხელოვნური სემირამიდას ბაღებით დეკორირებულ სკვერებში, ვინ აუზთან.... თან გამოპრანჭულები, შეღებილები, არმანის და დოლჩე-გაბანას სათვალით, ვერსაჩეს საყურეებით და სამაჯურებით..... ია ვ შოკე!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

სკოლის ექიმებს რეცეპტის გამოწერის უფლება ექნებათ

ამის შესახებ საქართველოს განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, განათლების სამინისტროს 100 სკოლა აქვს შერჩეული, სადაც სამედიცინო კაბინეტი გაიხსნება. ლიცენზირებულ ექიმებს დადგენილი სტანდარტისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აარჩევს.

— უკვე დასრულებულია სარემონტო სამუშაოები, შესყიდულია ინვენტარი. გეოგრაფიული დაფარვა უზრუნველყოფილია, ეს არ არის ერთი ქალაქის სკოლები. 2015 წლიდან სამედიცინო კაბინეტებს უფრო ინტენსიურად დავამატებთ. ეს იქნება ოჯახის ექიმის პროფილის მქონე ადამიანი. საუბარი გვაქვს ექიმზე და არა ექთანზე. ეს უნდა იყოს ზოგადი სახის მკურნალი ექიმი, — დასძინა სანიკიძემ.

ჯანდაცვის სამინისტროს სამი წარმომადგენელი კიევში ჩავა

ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ მარიამ ჯაშმა განაცხადა.

მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო უკრაინულ მხარეს ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენს.

— შემდეგი 48 საათის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტროს სამი წარმომადგენელი ვიზიტით ეწვევა კიევს. კვირის ბოლოსთვის ზუსტად გვეცოდინება უკრაინის მხრიდან ყველაზე მწვავე საჭიროებები, თუ რა მედიკამენტები, რა აპარატურა სჭირდებათ. ეს შეიძლება იყოს ექიმთა ვიზიტი, უშუალოდ ქართველი ექიმების ვიზიტი, პაციენტთა სამკურნალოდ თუ სხვა. ეს დეტალები სწორედ 48 საათის განმავლობაში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დასრულდება და ჯანდაცვის სამინისტრო აღმოუჩენს ყველანაირ დახმარებას უკრაინის მხარეს, — განაცხადა ჯაშმა.

◎ გენმოდიფიცირებული პროდუქცია

ის მაინც ვიცოდეთ, რას ვჭამთ...

თუ სასურსათო პროდუქტი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს შეიცავს, მის ეტიკეტზე ეს ინფორმაცია ქართულ ენაზე გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული, — ეს გახლავთ „გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ კანონის“ არსი, რომელიც აგვისტოს დადმდეგიდან შევიდა ძალაში.

მთავრობის დადგენილებით, ასეთი წარწერიანი ეტიკეტებით მარკირება ასევე **საცალო სავაჭრო ქსელში გასატანად განკუთვნილ დაუფასოებელ სურსათსაც ეხება, ამ შემთხვევაში პროდუქციას საინფორმაციო ფურცელ-ჩანართი, ასევე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ბუკლეტები უნდა ახლდეს.**

თუ რა ვითარებაა დღესდღეობით საქართველოს სამომხმარებლო გენმოდიფიცირებული სასურსათო პროდუქციის ბაზარზე ამ მხრივ, დანამდვილებით ამის თქმა არც ამ საკითხის მაკონტროლებელ ორგანოს, კერძოდ, სურსათის უვნებლობის სააგენტოს, არც პრობლემით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, არც თავად მომხმარებლებს არ შეუძლიათ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აქამდე გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ არც დისტრიბუტორის, არც მომხმარებლის ინფორმირება მწარმოებლისთვის სავალდებულო არ იყო, თუმცა კი, ევროკავშირის ქვეყნებში, სხვაგანაც, ამის თაობაზე სათანადო შეტყობინება კანონითაა დადგენილი.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გენმოდიფიცირებულ სურსათს, ფაქტობრივად, ყველგან მოიხმარენ, ამაში განსაკუთრებული არაფერია, სხვა საქმეა **თუ რამდენად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მისი მუდმივად მიღება.** ამიტომაც ყველა მომხმარებელს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია და თავად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით და რა პერიოდულობით მოიხმაროს ასეთი სურსათი. ისე კი ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, ვერც ახლა და, მით უმეტეს, ვერც მომავალში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებით მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ვერ ავცდებით. ამის დასტურად იმის თქმაც კმარა, რომ **დღესდღეობით მსოფლიოში მოყვანილი სოიოსა და ბრინჯის სამი მეოთხედი(!) სწორედ რომ, გენმოდიფიცირებულია. აღსანიშანვია ისიც, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველი პროდუქციის მუდმივი მოხმარების გარდა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ასევე საშიშია ნიტრატებითა და მძიმე ლითონებით „გამდიდრებული“ სურსათი.**

ახლადამოქმედებული კანონის დამრღვევნი 500 ლარით ჯარიმდებიან, დარღვევის განმეორების შემთხვევაში გენმოდიფიცირებულ პროდუქციას სავაჭრო ობიექტიდან ამოიღებენ, შემდეგ კი ასეთ საქონელს დისტრიბუტორს გასაყიდად აღარ შეატანინებენ.

მკითხველთათვის ინიტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის ცოდნა, თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველი სასურსათო პროდუქცია:

- **თუ სურსათი გენეტიკურად მოდიფიცირებულ მხოლოდ ერთ ინგრედიენტს შეიცავს, მაშინ წარწერა „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი (გმო)“ სურსათის დასახელების მახლობლად უნდა იყოს განთავსებული;**
- **თუ სურსათის შემადგენლობაში რამდენიმე ინგრედიენტი შედის, რომელთაგან ერთი, ორი თუ სამი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს შეიცავს, მაშინ აღნიშვნა „გმო“ შემადგენლობის ჩამონათვალში ან ინგრედიენტების გასწვრივ უნდა იყოს მითითებული;**
- **სურსათი, რომელიც გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგანაა დამზადებული, ეტიკეტზე სავალდებულო აღნიშვნას ექვემდებარება, რომელიც მასზე ნედლეულის წარმოების ქვეყნის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციის შესაბამისი იქნება;**
- **გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველ დაუფასოებელ სურსათს, თუკი იგი საცალო ვაჭრობაში რეალიზებისთვისაა განკუთვნილი, საინფორმაციო ფურცელ-ჩანართი ან/და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ბუკლეტები უნდა ახლდეს;**
- **გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველ მცირე ზომის სურსათზე, რომლის ზედაპირის ფართობი 10 კვადრატულ სანტიმეტრზე ნაკლებია, აუცილებლად განთავსებული უნდა იყოს აღნიშვნა: „გენეტიკურად მოდიფიცირებული სასურსათო პროდუქტი“ ანდა „გმო-ს შემცველი“.**

ნინო ალექსანდრია

◎ გაზმომარაგება

ერთი ბატონის ულელქვეშ

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის „კაპიტალური შეკეთების“ კვალდაკვალ სექტემბრიდან ქვეყანაში მის აღსრულებაზე პასუხისმგებელი თავისუფალი კონკურენციის სააგენტოც ამოქმედდება. წლების მანძილზე მეწარმეები, ექსპერტები, მასმედიის წარმომადგენლები, მოსახლეობა ამ ინსტიტუტის აღდგენის აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ. ჯერ კიდევ აუმოქმედებელი განახლებული ინსტიტუტის მუშაობის სამომავლო შედეგებზე ლაპარაკი და მათი წინასწარი განჭვრეტა, რა თქმა უნდა, ძალიან ნაადრევია, თანაც ბევრი ექსპერტი ამთავითვე გარკვეულ საკანონმდებლო ხარვეზებსა და სააგენტოს ხელმძღვანელის ერთობ უცნაურ განცხადებებს აღნიშნავს, რომელიც დაუფარავი მონოპოლიების ქვეყანის შიდა ბაზარზე გაბატონებულ კომპანიებს „ვერ ხედავს“. თუმცა ეს, რომ იტყვიან, მომავლის საქმეა, ამასობაში კი ზოგიერთი მონოპოლისტი თავის მებატონურ პოლიტიკას კვლავაც წარმატებით განაგრძობს.

ქვეყანაში ბენზინის ხარისხთან დაკავშირებით ძალიან სუსტი, გაზის ხარისხის მიმართ კი არანაირი რეგულაცია არ მოქმედებს, ამას მნიშვნელოვანწილად ერთი კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობა, კონკურენტების არყოლა განაპირობებს.

ამ შემთხვევაში ლაპარაკი საქართველოში ნავთობპროდუქტების, ასევე ბუნებრივი და სამანქანო გაზის შემომტან მონოპოლისტ აზერბაიჯანულ სახელმწიფო კომპანია „სოკარზეა“, რომელმაც რამდენიმე ხნის წინათ ავტოგასამართ სადგურებზე ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ფასი 1,1 ლარამდე გაზარდა. არადა, ეს გაძვირება კარგად გააზრებული, თუმცა კი, შინაარსით საკმაოდ მარტივი სქემის დამგვირგვინებელი, და, სავარაუდოდ, არაუკანასკნელი ნაბიჯია. ჯერ კიდაევ რამდენიმე თვის წინათ „სოკარმა“ კონკურენტ სადგურებს ბუნებრივი გაზის ფასი გაუზარდა, საკუთარ ავტოგასამართ ქსელში კი საცალო ფასს დააკლო. დემპინგური პოლიტიკის ამ კლასიკური ოპერაციით, რის საშუალებას „სოკარს“ საქართველოში მონოპოლიური მდგომაროება აძლევს და რასაც დიდი უნარით და აბსოლუტურად ყველა დონეზე მოხერხებულად იყენებს, მან კონკურენტი კომპანიები იქამდე მიიყვანა, რომ ზოგი ბაზარს საერთოდ გაეცალა, ზოგმაც თავისი ბიზნესი მას „დაუთმო“.

საქართველოში ენერგოშემცველების, კერძოდ ნავთობპროდუქტების ბაზარზე „სოკარის“ მონოპოლიური მდგომარეობა ყველასათვის კარგადაა ცნობილი — ხელისუფლებისთვისაც და მოსახლეობისთვისაც. იგი სრულად აკონტროლებს ქვეყანაში დიზელის საწვავის შემოტანას, ბენზინის ბაზარზე კი იმპორტის 80 პროცენტი მის პროდუქციაზე მოდის. აქედან გამომდინარე, აბა, რა გასაკვირია, რომ საბითუმო და საცალო ფასებსაც „სოკარი“ თავის ნებაზე ადგენს. მეტიც: იგი საქართველოში, ცოტა არ იყოს, დამპყრობელივით იქცევა: ყველას კარგად გვახსოვს, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე ახალი მმართველი ძალის ერთ-ერთი დაპირება ენერგოშემცველებზე სატარიფო განაკვეთების დაკლება იყო, რისი გაკეთება რამდენიმე თვის წინათ სცადა კიდეც, მაგრამ, ამის პასუხად „სოკარის“ მაღალჩინოსნებმა თითი დაგვიქნიეს და, ცოტა არ იყოს, მუქარანარევი განცხადებებიც გააკეთეს: „სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა მაირ მამედოვმა მაშინ ისიც კი თქვა, რომ კომპანიამ საქართველოში ბენზინის იმპორტი, შესაძლოა, სულაც შეწყვიტოსო(!).

ისიც უნდა ითქვას, რომ შარშან დეკემბერში სწორედ „სოკარის“ აგრესიული განცხადებებისა და ინიციატივების გამო ვერ ხორციელდება ამჟამად საქართველოში იაფფასიანი თურქმენული ბენზინის შემოტანა.

ამ ფონზეც კი გაცილებით არასახარბიელო მდგომარეობაა თბილისის ბუნებრივი გაზით მომარაგების მხრივაც, სადაც, „ყაზტრანსგაზ თბილისის“ კუთვნილი საყოფაცხოვრებო ქსელის გამოკლებით, „სოკარი“ უპირობო, 100-პროცენტიანი წილის მფლობელი მონოპოლისტია. არადა, ახლო მომავალში მისი მონოპოლისტური პოზიცია შესაძლოა კიდევ უფრო მეტად გამყარდეს, რადგან ბოლო დროს ინტენსიურად განიხილება კომპანია „ყაზტრანსგაზ თბილისის“ გაყიდვის საკითხი და, მართალია, მისი გასაყიდი ღირებულება ჯერჯერობით უცნობია, პოტენციურ მყიდველებს შორის ექსპერტები ყველაზე რეალურად „სოკარს“ თვლიან. საქმეში მეტ-ნაკლებად გარკვეული კაცისთვის ეს არც არის გასაკვირი, რადგან „სოკარი“ უკვე ფლობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაზმომარაგების ფართო ქსელს, ხოლო გაზის მომწოდებელი მონოპოლისტის მიერ თბილისის ქსელის დაპატრონებით მისი გაბატონებული მდგომაროება კიდევ უფრო მეტად გამყარდება. ამდენად, პერსპექტივაშია, რომ ცოტა ხანში ბუნებრივი გაზით საქართველოს მომარაგების კუთხით „სოკარი“ უკვე „გვირგვინიანი“ ხელმწიფე იქნება, რომელიც მის ყველა სეგმენტს — შემოტანას, გატარებას, მიწოდებასა და, ბუნებრივია, ფასს, — ერთპიროვნულად გააკონტროლებს.

პრობლემას კიდევ ერთი, თუმცა კი, გარკვეულწილად, არაკომერციული ასპექტი აქვს. თუ რა მძიმე ვითარებაა დედაქალაქში გამონაბოლქვი გაზებით ჰაერის, ერთიანად გარემოს დაბინძურების მხრივ, ყველას კარგად მოეხსენება. თბილისის ავტოპარკი ამორტიზებულია, მეორე მხრივ კი ამის მიზეზი მავნე მინარევების შემცველი ბენზინი და დაბალხარისხიანი ბუნებრივი გაზია, რომლითაც „სოკარი“ ასპროცენტიანად გვამარაგებს. ყოველივე ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ქვეყანაში ბენზინის ხარისხთან დაკავშირებით ძალიან სუსტი, გაზის ხარისხის მიმართ კი არანაირი რეგულაცია არ მოქმედებს, ამას მნიშვნელოვანწილად ერთი კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობა, კონკურენტების არყოლა განაპირობებს. თუმცა კი, ისიცაა, რომ ამის თაობაზე არც ჩვენი ხელისუფლება იკლავს მაინცდამაინც თავს. ყოველ შემთხვევაში, მისი ასეთი მცდელობების შესახებ საზოგადოებრიობამ დღემდე არაფერი არ იცის.

ოთარ ტურაგელიძე

◎ ინფორმაცია

სტიქიისგან მიყენებულმა ზარალმა, შესაძლოა, 3 მლნ დოლარი შეადგინოს

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, დარიალის ხეობაში საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ზარალმა შესაძლოა სამი მილიონი დოლარი შეადგინოს. როგორც ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, დარიალში დაზიანებულია საბაჟო ინფრასტრუქტურა.

„სამი ნაგებობიდან ორი დაფარული იყო ხრეშითა და ქვიშით. მათი გაწმენდა მიმდინარეობს ახლა და ამ წუთას შეიძლება ითქვას, რომ დაზიანებულია ხელბარგის სკანერი, ასევე დაზიანებლია საკმაოდ ძვირადღირებული სასწორი, რომელიც სატვირთო მანქანების ასაწონად გამოიყენება. რაც შეეხება სკანერს, მიმდინარეობს მისი ტესტირება და ორ-სამ დღეში გვეცოდინება ის, აღდგება თუ არა. სკანერის გარეშე ზარალი არის მილიონი დოლარი თუ სკანერიც დაზიანებულია, მაშინ დაახლოებით 3 მილიონის ზარალი გვექნება მარტო საბაჟოზე, — აღნიშნა მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, უკვე დაწყებულია გზის რეაბილიტაცია და როგორაც გზა იქნება გაწმენდილი, საბამინისტრო მზად არის, საბაჟო-გამშვებმა პუნქტმა იმუშაოს.

საქართველოში 21 კომერციული ბანკი მუშაობს

საქართველოს საბანკო სექტორი 21 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის 17 — საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და ორი — უცხოური ბანკის ფილიალით.

ოფიციალური ინფორმაციით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.1 მლრდ ლარით, ანუ 0.6 პროცენტით გაიზარდა და 18.4 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.2 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 17.7 პროცენტია.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 78.5 პროცენტი შეადგინა. გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ივლისის თვის წმინდა მოგებამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა. ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 76.1 პროცენტი შეადგინა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთში პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები უკანონოდ დაასახელა

22 ათას ეთნიკურ ქართველს უარი უთხრეს არჩევნებში მონაწილეობაზე სეპარატისტულ რეგიონში, რომლის დამოუკიდებლობაც მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ აღიარა მსოფლიოში

აფხაზეთში 24 აგვისტოს გაიმართა პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები. აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების თანახმად, მათში მონაწილეობა მიიღო 131 ათასი დარეგისტრირებული ამომრჩევლის 70 პროცენტმა. ამავე დროს დაახლოებით 22 ათას ეთნიკურ ქართველს, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, უარი უთხრეს უფლებაზე, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ვინაიდან ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, აფხაზეთის ახალმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ წინა ხელისუფლებამ მათ აფხაზური პასპორტები გადასცა „უკანონოდ“.

საქმე ისაა, რომ, როდესაც აფხაზურ პასპორტებს ღებულობენ, ბევრი ქართველი უარს არ აცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე, თუმცა, აფხაზეთის კანონმდებლობით ორმაგი მოქალაქეობა დასაშვებია მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან. 2014 წლამდე სოხუმი ამაზე თვალებს ხუჭავდა, ვინაიდან აფხაზეთის პრეზიდენტების ანქვაბისა და ბაღაფშის პოლიტიკა მიზნად ისახავდა ეთნიკური ქართველების ინტეგრაციას.

აღსანიშნავია, რომ, 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდა ქართველების 48 პროცენტი და აფხაზების 17 პროცენტი. დღეს, აფხაზეთის ოფიციალური მონაცემებით, ქართველების რიცხვი, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, შემცირდა 19,26 პროცენტამდე, ხოლო ეთნიკური აფხაზების წვლილი გაიზარდა მოსახლეობის 51,71 პროცენტამდე.

ინსიდენტი სტამბოლში

საარჩევნო უბნები ასევე გაიხსნა მოსკოვში, ჩერკესკში და სტამბოლში. ერთდროულად, თურქეთის ელჩმა საქართველოში ლევენტ გიუმრუკჩმა ადრე განაცხადა, რომ უბანი სტამბოლში განთავსებულია თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური ნებართვის გარეშე, ვინაიდან ანკარა „მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“ და არ აღიარებს აფხაზეთის არჩევნებს იქიდან გამომდინარე, რომ ეს არჩევნები „არ შეესაბამება საერთაშორისო სამართალს და საქართველოს კანონმდებლობას“.

არჩევნების დღეს, 24 აგვისტოს, სტამბოლში საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიასთან მართლაც გაჩნდა პრობლემები. როგორც აფხაზური მხარე იტყობინება, „თურქეთში საქართველოს საელჩოს ჩივილის საბაბით“ უბანში მოვიდნენ პოლიციელები, რომლებმაც მოახდინეს „ურნის კონფისკაცია და წაიღეს იგი თან“. აფხაზეთის ოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, რომ თურქეთის პოლიციის მოსვლის მიზეზი თითქოს გახდა ქართული მხარის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შენობაში, სადაც მიმდინარეობდა კენჭისყრა, „ჩადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა“. ამავე დროს, არ ადასტურებენ თუ რატომ წაიღო პოლიციამ ბიულეტენებიანი ურნა.

მიუხედავად ამისა, როგორც სოხუმი იტყობინება, სტამბოლის უბანზე მალე დააყენეს ახალი ურნა და იმ 47 კაციდან, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში ადრე, ხელმეორედ მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში.

მეოთხე მცდელობა

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის წინასწარი შედეგები გამოქვეყნდება 25 აგვისტოს, პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მომხრეები, რომელიც ხელმძღვანელობდა საპროტესტო აქციებს, რის შედეგადაც მაისში გადააყენეს პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი, უკვე ზეიმობენ გამარჯვებას სოხუმში. რაულ ხაჯიმბა, ოპოზიციური პარტიის „ეროვნული ერთიანობის ფორუმის ლიდერი და აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი, 2004, 2009 და 2011 წლებში წარუმატებლად მონაწილეობდა აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებში. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამტკიცებენ ხაჯიმბას კავშირს რუსეთის სპეცსამსახურებთან, შეგვახსენებენ, რომ 1986 წელს მან დაამთავრა მინსკში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის უმაღლესი სკოლა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის პრეზიდენტის არჩევნებში ხაჯიმბას კანდიდატურას აშკარად დაუჭირა მხარი მოსკოვმა, თუმცა, მაშინ გამარჯვება მოიპოვა სერგეი ბაღაფშმა, რომელმაც შემდგომ, ხელისუფლების გაყოფის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, ხაჯიმბას ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შესთავაზა.

ხაჯიმბა, რომელსაც ეს პოსტი 2005-2009 წლებში ეჭირა და ხელმეორედ წააგო ბაღაფშთან 2009 წელს, ხმების 15 პროცენტზე ოდნავ მეტი მოაგროვა. თავის მესამე წინასაარჩევნო კამპანიაში 2011 წელს ხაჯიმბა აკრიტიკებდა აფხაზეთის გადაჭარბებულ დამოკიდებულებას მოსკოვზე და გმობდა იმ სახსრების არაეფექტიან გამოყენებას, რომლებიც შევიდა აფხაზეთის ბიუჯეტში რუსეთის დახმარების სახით. მაგრამ 2011 წელსაც პრეზიდენტის არჩევნებზე გაიმარჯვა არა მან, არამედ ალექსანდრ ანქვაბმა ხმების 55 პროცენტით. მაშინ ხაჯიმბამ ხმების მხოლოდ 20 პროცენტი შეაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა.

ხაჯიმბას გარდა, აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზია სამ კანდიდატს აქვს — ესენი არიან უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ასლან ბჟანია, თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქიშმარია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი ლეონიდ ძიაპშპა.

თბილისისა და ევროკავშირის რეაქცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 24 აგვისტოს აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელშიც ამჟამინდელ კენჭისყრას „საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისადმი უპატივცემლობა უწოდა, სადაც, უწინარეს ყოვლისა, დაირღვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პრინციპები“.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში ასევე აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის კამპანია მიზნად ისახავდა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების „გამოდევნას“ და მოუწოდებენ საერთაშორისო გაერთიანებას, დაგმოს „უკანონო არჩევნები“ თავისი „მტკიცე პოზიციის“ შესაბამისად საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაში.

ევროკავშირმაც ასევე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ არ აღიარებს „კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოებს“, რომლებშიც მიმდინარეობს არჩევნები აფხაზეთში.

„ევროკავშირი მხარს უჭერს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რაც აღიარებულია საერთაშორისო კანონმდებლობით“, — ნათქვამია ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ დღეისათვის საქართველოდან უკანონოდ გამოყოფილ აფხაზეთსა და სამრეთ ოსეთს აღიარებენ მხოლოდ რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ. მსოფლიოს ყველა დანარჩენი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ეს სეპარატისტული რეგიონები საქართველოს განუყოფელი ტერიტორიაა.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ბრაზილიის სამხრეთში ცხის პატიმრები ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის აბუნტდნენ და ბრძოლაში რამდენიმე მძევალი იმსხვერპლეს

პატიმრები წვავენ ლეიბებს და ანგრევენ ცხეს, ცდილობენ, მიაღწიონ კვებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. ხელისუფლებამ მისალაპარაკებლად არ დაუშვა ადვოკატი ადგილობრივი ბანდიდან, ახლა კრიმინალური გაერთიანება იმუქრება, მოაწყოს ბუნტები სხვა ციხეებშიც. ნ კაცი მცველების რიცხვიდან და პატიმრები გაუპატიურებისათვის გადმოყვარეს ერთ-ერთი კორპუსის სახურავიდან, კიდევ ორ თუ სამ კაცს თავები წააჭრეს.

ებოლის ციებ-ცხელებით დაავადებულთა პირველი შემთხვევები დადასტურდა კონგოში: ვირუსისგან 2 კაცი გარდაიცვალა

ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ფელიქს კაბანგე ნუმბის სიტყვებით, ორი ლეტალური შემთხვევა ებოლის ვირუსისაგან გამოვლინდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში ეკვატორულ პროვინციაში, სადაც უკვე 13 კაცი გარდაიცვალა სიმპტომებით, რომლებიც ამ ციებ-ცხელებას ჰგავს. ნიმუშები აიღეს იმ რაიონში, სადაც ადრე დაფიქსირებული იყო აფეთქება ჰემორაგიული გასტროენტერიტისაგან.

ავსტრალია შეიძლება შეუერთდეს აშშ-ს ერაყში ისლამური გაერთიანების პოზიციის დაბომბვაში

ამ დროს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა მიაყენეს უკვე ორი ავიადარტყმა. ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ უპილოტო საფრენი აპარატები. 8 აგვისტოდან, როდესაც ობამამ გასცა სანქცია ასეთ ავიადარტყმებზე, პენტაგონმა უკვე მიაყენა 96 დარტყმა ისლამური გაერთიანების პოზიციებს, მათგან 62 — მოსულის კაშხალთანაა.

უკრაინა თავის არმიას შვეიცარიის მოდელით ააგებს

ამის შესახებ ისაუბრა თავდაცვის მინისტრმა ვალერი გელეტეიმ. ამ მოდელით, „ყოველმა უკრაინელმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი ფართომასშტაბიანი აგრესიის ან ჰიბრიდული ომის შემთხვევისთვის“. მან ასევე დაუმატა, რომ იმის გათვალისწინებით, რაც ამჟამად ხდება, „ჩვენ კარგად გვესმის თუ ვინაა ჩვენი მტერი და ვინ პარტნიორი“.

◎ უძველ დღეების ჩანაწერები

ცაგურია აგერ არაა... ვაშინგტონში!

ბიძუს! თამაზ ჭეიშვილმა – ცნობილმა ჟურნალისტმა, მწერალმა, ექსტრასენსმა... „ტელეობიექტივის“ ეკრანზე, თავის შესანიშნავ საავტორო გადაცემაში, ამ ხნის მონატრებულ თემურ ცაგურიას არ შემახვედრა?!

თემური, ჩვენი თემური!.. უნივერსიტეტელი, თანაკურსელი, ცხონებული ვასიკო მჭედლიშვილის, რამინ ჭელიძის, ზაურ ფიფიას... და ჩემიც... ძმა და მეგობარი, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კლუბის სცენის „დამპყრობი“ თავისი განსაკუთრებული ბანით, ნაირ-ნაირი საესტრადო სიმღერებით, მოგვიანებით, რომ ანსამბლმა „რერომ“ მიიწვია და თაყვანისმცემელიც არ მოჰკლებია მთელ საბჭოთა კავშირში. გვესახელებოდა თემო – გულიანი, ყურებამდე პირღიმილიანი, ჭირსა და ლხინში ჩვენს გვერდით მდგომი..

...აირია ქვეყანა, ოთხმოცდაათიან წლებში, სამშობლოში მოძალებულ პრობლემებს რომ ვეღარ გაუძლო ჩვენმა მოსახლეობამ, საზღვარგარეთის ქვეყნები აირჩია მშველელად (ვაი, ჩვენს თავს, დღემდე გრძელდება ეს!..) წავიდა თემურ ცაგურიაც. გაგებული მქონდა, რომ თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით, მასა და მის ოჯახს თავი გაჰქონდა ამერიკაში. ჰოდა, აგერ ჭეიშვილის გადაცემაში „უბერავს“ თავის ცნობილ სიმღერას მზია დიაკვნიშვილის ტექსტზე: „მე საქართველოს სიყვარულის წყარო მწყურია, ჩემი სიმდიდრე, ნაბადი და სალამურია... ჩემი სალამურია“.

რა გასაკვირია, გული მიჩუყდება, ვურეკავ რამინ ჭელიძეს, ვუყვები, რაც ხდება. იცინის რამინი, ნეტა, ჩვენ ვიყოთ ბიჭო, ეგრე, თემოს რა უჭირს, შესანიშნავი ოჯახი აქვს, მღერიან, გამოდიან კონცერტებზე, აქეთაც ჩამოდის ხოლმე...: ფეისბუქში შედი, მიწერე წერილი და თვითონაც შეგეხმიანებაო...

ასეც ვიქცევი, ვწერ, ვეფერები, იმასაც ვახსენებ, როგორ აღვნიშნეთ, 1968 წელს ბიჭებმა მისი გამარჯვება ლიეპაიას სიმღერა-კონკურსში...

ორ საათში პასუხს მიგზავნის თემო, რა თქმა უნდა, სამშობლოში ყოფნა სჯობს, მაგრამ რას იზამ, დაბადების 70 წლისთავს ვაგშინგტონში შევხვდიო, კარგად ვარო... დაწვრილებით იხსენებს ლიეპაიაში გამარჯვებას:

– იურმალამდე სიმღერა-კონკურსი ლიეპაიაში იმართებოდა და, გეხსომება, „ოქროს ქარვა“ ერქვა, – მწერს თემური. – 1968 წელს, როცა ამ კონკურსის „გრან პრი“ მოვიპოვე და რაიმონდ პაულსმა ხეზე ამოკვეთილი მომღერლის გამოსახულება და მასზე მიკრული დიდი და პატარა ქარვის ქვები გადმომცა, კულისებში ფულიანები ამედევნენ. დიდი ქარვა იქვე გავყიდე 800 მანეთად და რესტორანში დავამღერე, პატარა ქარვა და პრიზი კი ჩემთვის დავიტოვე. მოვფრინავ გახარებული საქართველოში. სამსახურში მივდივარ (მაშინ საქართველოს რადიოში ვმუშაობდი). განცხადებების დაფაზე ჩემი გვარი ამოვიკითხე, თემურ ცაგურიას გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით.. ტყუილისთვის. გამახსენდა, რომ ლატვიაში გაფრენის წინ თავმოყვარეობამ (იქნებ ვერ გავიმარჯვო და შევრცხვე-მეთქი) მძლია და რადიოს ხელმძღვანელობასთან ავადმყოფობა მოვიმიზეზე. საყვედური 6 თვის შემდეგ მომიხსნეს, მაგრამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი სამუდამოდ გამიქრა... მომიკითხე ყველა, ყველა, ვისაც ვახსოვარ!.. – მწერს ბოლოს თემო.

...ასეთი იყო ის დღე – თემურ ცაგურია თამაზ ჭეიშვლმა ძველი ჩანაწერებით გამახსენა და მომანატრა, ხოლო გენიალურმა გამოგონებამ – კომპიუტერმა, რომელმაც ასე „დააპატარავა“ მსოფლიო, მისი წერილი წამაკითხა, ანუ მე, შორს რომ მეგონა, თემურ ცაგურია, აგერ ყოფილა... ვაშინგტონში!

შემცირდა მწყრის გოგმანი...

ᲕᲬᲮᲔᲓᲕᲐᲠᲗ ალიონზე გამოცარიელებულ ალექსანდრეს ბაღში „უპატრონოები“ და ვსაუბრობთ, დრო გაგვყავს, სანამ მზის სიმხურვალე ჭადრისა და ნეკერჩხლის ჩრდილებსაც გაარღვევს და ძელსკამებიდან წამოგვყრის.

ჩვენი „პარლამენტის“ ახალი წევრი გვიერთდება, – დავით მანჯგალაძე თავისი ულამაზესი კოკერ სპანიელებით რამდენიმე თვის წინათ დაგვიახლოვდა. იგი ერთ დროს სასტენდო სროლის აღიარებული ოსტატი, საქართველოს რამდენიმე გზის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრიც ყოფილა. სროლა მამამ შემაყვარა, სანადიროდაც დავყავდი, მეც მიყვარს ნადირობა და, ახალი სეზონის გახსნას, მოუთმენლად ველოდებიო, გაგვიმხილა გაცნობისას.

კვირაზე მეტია, დათო ბაღში აღარ გამოჩენილა და, ახლა, ოლეგმა, რომ ჰკითხა, თავი რატომ მოგვანატრეო, რახან ნადირობის სეზონი გაიხსნა, ორ მეგობართან ერთად წავედი მწყერზე სანადიროდო...

– აბა, მწყერს ქე ჩამოიტანდი ბლომად, – იღიმება ნოდარი, – „გორული მწვანე“ ჩემზე იყოს!..

– სადღაა, ხალხო მწყერი! წარმოგიდგენიათ? ორ დღეში ორი ცალი მოვკალი და ეგ იყო!..

– რატომ, რა მოხდა?

– ჩვენში უკუღმართებს რა გამოლევს?! დადგამენ, ან ხეზე ჩამოკიდებენ ბრაკონიერები მაგნიტოფონს, რომელშიც ჩაწერილია მწყერის ყვიტყვიტი, დატოვებენ ჩართულს და, თავისი თანამოძმის ხმის გაგონებაზე, მთელი „სამწყერეთი“ ღამით მაგნიტოფონთან იყრის თავს. მობრძანდებიან დილით ბრაკონიერები და ერთად თავმოყრილ ფრინველებს უსაშველოდ ხოცავენ... მაშ!.. ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ახლა ნამეტანს შვებიან, მწყერი სადღა იქნება, მორჩა მისი გოგმანი! აქა-იქ თუ წამოუფრინდება ძაღლს და, ეგ არის!

– კი, მაგრამ, პატრონი არავინაა?!

– როგორც გვითხრეს, თვითონ „პატრონები“ „კაიფობენ“ მწყერების ხოცვით, ადგილობრივი თვითმმართველობის „გლავარები“ სჩადიან ამ უკეთურ საქმეს, ჰოდა, ხმასაც ვერავინ იღებს!..

– ღმერთო, შენ გვიშველე!

ცხელი გვინდა ღომი!..

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ავად მიმდინარე პროცესების შესახებ საუბრობენ პოლიტოლოგები. ტელეეკრანზე წარწერაა... „ცივი ომი“.

არ გვიკვირს, სხვებმა იკითხონ, თორემ, საქართველოში, აგერ, მეოთხედი საუკუნეა, „ცივი“ ომია გაჩაღებული... ერთმანეთის ლანძღვა, თათხვა, გინება... გგონიათ, სხვადასხვა ერებსა და ქვეყნებს შორის არის ეს გაუთავებელი გაუგებრობა?.. არა, ბატონებო!.. ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთს ქიშპობენ ერთი მუჭა ქართველები!.. ამაშიც „ჩემპიონები“ ვართ!

რა ექნა ამის შემხედვარე ტარიელ ჭანტურიას? დაწერა, ვითომ სახალისოდ, მაგრამ მაინც თავისებურად, ირონიულად:

ჩვენ არ გვინდა „ცივი“ ომი
და არც „ცხელი“ ომი,
ცივი გვინდა საცივი და
ცხელი გვინდა ღომი!.

ეეეე... ჩვენო ძვირფასო ბატონო ტარიელ! ინდაურის საცივსა და ცხელ ღომს, ერთ-ორ ჭიქა „ადესასაც“ თუ მიაყოლებს კაცი, მართლაც რა სჯობს, მაგრამ ამ უბედურ ქვეყანაში, ზოგ-ზოგს, რომ, მაინც „ცივი“ ომი, ანუ ერთმანეთის „ჩანისკარტება“ ურჩევნია, ეგაა უბედურება.

რაჭაში დასვენებაზე ობამაც არ იტყოდა უარს...

ᲒᲐᲛᲘᲧᲕᲔᲑᲐ რაჭის ამბებს ჩვენი ქვემო რაჭველი მეზობელი, – რა ვქნა, მეც ვარ დამნაშავე, რომ დაიცალა იქაურობაო, რა გავაკეთე აქაო, ვყოფილიყავი ჩემიანებშიო, ბუზღუნებს ახლა ეს 80 წლის კაცი. ოღონდ, ხელი გაანძრიე და ყველაფერია ძმაო, იქაო, ხორცი გინდა, ყველი გინდა, ხილი გინდა... ჰაერზე და წყალზე აღარაფერს ვამბობო!..

– აბა, რატომ დაცალეთ, რატომ?! – უჯავრდება ზაზა.

– კითხე კომუნისტებს! რუსთავში და ქუთაისში ხომ უნდოდათ მუშახელი?!. ჰოდა, ხან „საბუდარელი ჭაბუკი“ გადაიღეს, ხან – „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“... ცხელი წყალი გექნებათ, გათბობა გექნებათ, დიდი ხელფასები გექნებათ მეტალურგიულ და ავტოქარხანაშიო... და, მეტი რა უნდა ადამიანს?!..

– ახლა თუა ვინმე დარჩენილი შენს სოფელში?!.

– ოთხი ოჯახი!.. მოხუცები დაფოფიალობენ... ორსამ წელიწადში ისინიც აღარ იქნებიან...

– დამსვენებლები თუ იყვნენ წელს?!.

– თითქმის არავინ ყოფილა... შარშან უფრო იყო... რომ ჩახვიდე, ჭამა ხომ მინდა, ბიძია?! ქალაქიდან უნდა წაიძღვანო რაღაც-რაღაცები, რაც უკვე ძალიან ძვირია, ქე იცით!.. ამიტომ ვეღარ ჩადიან მშობლიურ კუთხეში, ერთი-ორი თვით მაინც... მოკლედ, აღარ იკითხება რაჭის საქმე... მეზობელი შოვში წავიდა მანქანით და გავყევი... ონის შემდეგ ძლივს მიდიოდა გზაზე მანქანა!.. გზა მაინც გააკეთე, შე კაი კაცო, მთავრობა რომ გქვია!.. შოვს თუ მიხედავენ, გეუბნებით, ბარაკ ობამა დაისვენებს იქ თავისი ცოლ-შვილით!..

– ობამა არა მერკელი! მიდი, მიდი, „ალექსანდროული“ გექნება შენ ჩამოტანილი! – უჩმახებს ზაზა.

ბონდოსაც მოაქვს, ეგეთი რაღაცები არ ეშლება.

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ საერთაშორისო ფესტივალი

„ერთიანი კავკასია“ - წერაქვში

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ გამგეობის თანადგომითა და საორგანიზაციო უზრუნველყოფით სოფელ წერაქვში 28-31 აგვისტოს ჩატარდება საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ერთიანი კავკასია“ (One Caucasus). ფესტივალის მიზანია, შეიქმნას კრეატიული და უსაფრთხო სივრცე კავკასიის რეგიონებიდან ახალგაზრდების შეხვედრებისთვის. ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად სტუმრებს ოცამდე ქვეყნიდან ელიან.

ფესტივალის ორგანიზატორია პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „FUNDACJA INNA PRZESTRZEN“. ორგანიზაციის მისიაა, ხელი შეუწყოს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, კულტურათა მრავალფეროვნებასა და შემწყნარებლობას. ორგანიზაციის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კულტურული და შემოქმედებით ინიციატივებისა და პროექტების მეშვეობით სოციალური ცხოვრების ნაკლებად შესწავლილ სფეროებში რეალური ცვლილებების მოხდენა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარდა წერაქვის სკოლის შენობის რეაბილიტაცია, გაიწმინდა და მომზადდა ტერიტორია, სადაც სცენები უნდა განლაგდეს. მიმდინარეობს სოფლამდე მისასვლელი გზის შეკეთება. უკვე მოგვარდა სასმელი წყლით სოფლის მომარაგებისა და გარე განათების საკითხები.

მარნეულის გამგებლის მერაბ თოფჩიშვილის განცხადებით, ამგვარი მასშტაბური ფესტივალი გამოაცოცხლებს მრავალეროვანი რეგიონის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებას, რაც არა მხოლოდ დამატებით შემოსავალს მოუტანს მასპინძელი სოფლის მოსახლეობასა და პროდუქტების სხვა მომწოდებლებს, არამედ განამტკიცებს ადამიანთა ურთიერთპატივისცემასაც. ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ფესტივალის დღეებში დაინიშნება ავტობუსების რეისები, რომლებიც სტუმრებს უფასოდ მოემსახურებიან.

ფესტივალის კოორდინატორის აბდულა მეხტიევის ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში, გარდა მუსიკალური ნაწილისა, იგეგმება სხვა პროექტებიც. მაგალითად, დოკუმენტური ფილმების გადაღება, ფოტოგალერეის შექმნა, ფესტივალის ყოველდღიური გაზეთის „One Caucasus daily“-ის გამოცემა, ჟურნალისტური სემინარები და მრავალი სხვა.

◎ კალათბურთი

ევროპის ზღურბლთან

ასეთ სუსტ მეტოქესთან როგორ უნდა წაგვეგო პირველი წრის მატჩიო – შემომჩივლა უნგრელებთან „ევრობასკეტ – 2015“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის V ტურის შეხვედრის დასრულების შემდეგ სპორტის ერთმა ძველმა ქომაგმა.

– თამაშს კალათბურთელები იგებენ და მწვრთნელები აგებენ-მეთქი, ვუპასუხე და რადგან მალევე ორიოდე სიტყვა დამადევნა – ჯიგარი ხარო, მაგრძნობინა, რომ ისიც ასევე ფიქრობდა.

სხვათა შორის, იგორ კოკოშკოვმა ამჯერადაც დაუშვა სერიოზული შეცდომები, როცა ცინცაძე და ფაჩულია რამდენჯერმე ერთდროულად დასვა სათადარიგო სკამზე, რითაც უმალ ისარგებლეს სტუმრებმა და სხვაობა სახიფათო ნიშნულამდე შეამცირეს, მაგრამ მათივე სისუსტემ, „ჯვაროსანთა“ ლიდერების ინდივიდუალურმა ოსტატობამ და თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილი 5-ათასიანი აუდიტორიის ძალისხმევამ ყველაფერი გადაწონა – ცალი ფეხით უკვე მომავალ ფორუმზე ვართ (ზედიზედ მესამედ!).

საქართველო – უნგრეთი 79:59

საქართველო: შენგელია – 26, ფაჩულია – 17, სანაძე – 12, სანიკიძე – 11, ფაცაცია – 3, მეტრეველი – 3, ლეჟავა – 3, ცინცაძე – 2, ბურჯანაძე – 2 ქულა.

სტატისტიკური მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, ვინ როგორი წვლილი შეიტანა პარტნიორთა წარმატებაში, მაგრამ თორნიკე შენგელიას ბრწყინვალე მონაგარი, დაგვეთანხმებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია. ბედის ირონიაა, რომ კეჩკემეტში წაგებული ბრძოლის შემდეგ, სადაც მან ბოლო წამებზე ოთხი საბედისწერო საჯარიმო გააფუჭა, სწორედ შენგელიამ დაიდო ლომის წილი ღირსეულ რევანშში. ვიმედოვნებთ, მატჩის ბოლოს მიღებული ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება და ესპანური „კახა ლაბორალის“ დებიუტანტს წარმატებული სეზონი ექნება.

პორტუგალია – ჩეხეთი 61:75.

ჩეხეთი – 4, საქართველო, უნგრეთი – 3-3, პორტუგალია – 0 მოგება.

ხვალ ითამაშებენ: საქართველო – პორტუგალია, უნგრეთი – ჩეხეთი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალბურთი

ბერძნებთან წავაგეთ

საქართველოს 19-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრები, რომელიც თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში ჩაება, სტარტზე საბერძნეთის გუნდთან დამარცხდა – 3:6.

საქართველო-საბერძნეთი 3:6 (0:1, 1;2, 0:0, 2:3)

საქართველო. რაზმაძე, ჩიკვაიძე, მოსაშვილი, იმნაიშვილი, გაბადაძე, ბითაძე (2), ჯახაია, ხამოევი, კახეთელიძე (1), ყაზახიშვილი, მაგრაქველიძე, ფურცელაძე, ლეთოდიანი, მწვრთნელები – პოპოვიჩი და ბაქრაძე.

საბერძნეთი. ზერბევასი, კოპელიადისი, კაფტანაკისი, მაძმანიდისი (2), ბრეკასი (1), საჩილიდისი (1), კალუგურაკოსი, მაუროტასი, ჩაძიგოუვასი (1), ილიაპაკისი (1), ალვერტისი, გოპამიანოსი, სარისი, მწვრთნელი აფანასიოსი.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატში კონტინენტის 16 უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრები იბრძვის მედლებისთვის. ისინი ოთხ ჯგუფში არიან განაწილებული. ქართველები და ბერძნები ა ჯგუფში თამაშობენ, სადაც იტალიელებმა თურქებს მოუგეს – 19:4.

პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:

ბ ჯგუფი: უნგრეთი – სლოვაკეთი 16:7, ესპანეთი-ჰოლანდია 13:6.

ც ჯგუფი. ჩერნოგორია – საფრანგეთი 14:4, ხორვატეთი – გერმანია 11:4.

დ ჯგუფი. სერბეთი – უკრაინა 13:3, რუსეთი – რუმინეთი 6:4.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXVI ეროვნული ჩემპიონატი. III ტური. „ზესტაფონი“ – „დინამო“ 2:3, „მერანი“ – „ტორპედო“ 3:1, „სიონი“ – „სამტრედია“ 2:2, „ვიტ ჯორჯია“ – „ცხინვალი“ 0:1, „კოლხეთი“ – „ზუგდიდი“ 1:1, „დილა“ – „ბათუმი“ 0:1, „მეტალურგი“ – „გურია“ 0:0, „შუქურა“ – „ჩიხურა“ 1:1.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 9, „ბათუმი“, „ცხინვალი“ – 6-6, „შუქურა“, „მეტალურგი“ – 5-5, „ტორპედო“, „დილა“, „სიონი“, „ჩიხურა, „სამტრედია“ – 4-4, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“, „მერანი“ – 3-3, „ზუგდიდი“, „გურია“ – 2-2, „კოლხეთი“ – 1 ქულა.

* * *

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ელჩე“ 3:0, „სევილია“ – „ვალენსია“ 1:1.

ინგლისი. „ჩელსი“ – „ლესტერი“ 2:0, „სანდერლენდი“ – „მანჩესტერი“ 1:1, „ევერტონი“ – „არსენალი“ 2:2.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ვოლფსბურგი“ 2:1, „ბორუსია“ – „ლევერკუზენი“ 0:2, „ჰანოვერი“ – „შალკე“ 2:1.

საფრანგეთი. „ლიონი“ – „ლანსი“ 0:1, „ევიანი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:0, „ნანტი“ – „მონაკო“ 0:1, „ნიცა“ – „ბორდო“ 1:3.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

მომძლავრებული „ხარები“ და დასუსტებული „არმია“

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველ ტურში საკუთარ მოედანზე „ჯიქთან“ წაგების შემდეგ ქუთაისის „აიას“, რომელიც წლეულს ჩემპიონატში გაახალგაზრდავებული შემადგენლობით ჩაება, გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია სურდა. მისი მეტოქე იყო უმაღლეს ლიგაში აღზევებული „თიბილისი“. მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო და ანგარიში გოდერძი ჯოგლიძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა. რიონისპირელებმა მალევე იყოჩაღეს – ლელო იოსებ კიკვაძემ გაიტანა, ხოლო გაგა სინაურიძემ უნაკლოდ გარდასახა. ამის შემდეგ მთელი პაექრობა დაძაბულად წარიმართა და „აიამ“ ძნელი გამარჯვება მოიპოვა – 26:23.

„ბათუმმა“ „ლელოს“ ფოთში – მალთაყვის სარაგბო სტადიონზე უმასპინძლა. პირველი წუთებიდანვე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და მატჩის მოგებაც არ გასჭირვებიათ მშრალი ანგარიშით 20:0. მეორე ტურის ორი შეხვედრა კი ასე დასრულდა: „ჯიქი“ – „ყოჩები“ 0:6, „ხარები“ – „არმია“ 44:3, „არმაზი“ – „ლოკომოტივი“ (გადაიდო).

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ხარები“	2	2	0	0	+45	9
„ლელო“	2	2	0	0	+25	8
„ყოჩები“	2	2	0	0	+17	8
„ჯიქი“	2	1	0	1	-3	5
„აია“	2	1	0	1	0	4
„არმია“	2	1	0	1	-31	4
„თიბილისი“	2	0	0	2	-8	2
„ლოკომ.“	1	0	0	1	-4	1
„არმაზი“	1	0	0	1	-11	0
„ბათუმი“	2	0	0	2	-30	0

გივი გაგუა

◎ მხარე

ასე იყო, ასე არის...

„ბიწმენდობა“ ოდითგანვე ამშვენებდა მცხეთის რაიონის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარს.

წლევანდელი ასპარეზობის გვირგვინი – ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში რეგიონის სოფლებისა და თიანელთა მონაწილეობით ადგილობრივ ნახერხმოყრილ სარბიელზე გაიმართა (მთავარი მსაჯი **ვახტანგ ჩანადირი**).

ჩემპიონები

45 კგ. გივი ჩანადირი (ნავდარაანთკარი).

55 კგ. ვანო ნაზარაშვილი (ნავდარაანთკარი).

სახელოვანი ფალავნის ჯონდო მუზაშვილის დაწესებული არჩილ ჩოხელის სახელობის თასი წილკნელ ზურაბ ოქრუაშვილს დაღუპული ხალიჩის დიდოსტატის მამამ რუსლან ჩოხელმა გადასცა, ხოლო აბსოლუტურ წონაში გამარჯვებული წეროვნელი ფრიდონ ზურაბიანი ჭედილათი დაჯილდოვდა. და ბოლოს – განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ ტურნირის ორგანიზატორები – **ივანე სისაური და ჯემალ სუხიაშვილი.**

ალექსანდრე კოტორაშვილი
ავტორის ფოტო.



◎ ინტერნეტიდან

მარიკა ფრუშოს მორიგი სიურპრიზი

იტალიური „ნაპოლის“ ცნობილმა და მკერდმოთიმთიმე ქომაგმა მარიკა ფრუშომ 2014-2015 წლების საფეხბურთო სეზონი მისი საყვარელი კლუბის ზეობის ეპოქად გამოაცხადა და აპენინელ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ „ნაპოლის“ ფეხბურთელებისათვის გრანდიოზული სიურპრიზი აქვს.

სიურპრიზი იმის სიურპრიზია, რომ მისი რაობა არავინ იცის და ალბათ ვერც მის „გრანდიოზულობას“ განვსაზღვრავთ, მაგრამ მარიკა ფრუშოს ამბავი რომ ვიცით, შესაძლებელია მისი დანაპირები კვლავ მკერდის მოშიშვლების პირობას უკავშირდებოდეს.

რაც მართალია მართალია, ამ ქალს მკერდი მართლაც რომ გრანდიოზული აქვს და რამე რომ იყოს, მარტო მკერდითაც შეუძლია მოდელის კარიერის აწყობა, მაგრამ მარიკა ფრუშოს „ნაპოლი“ ისე უყვარს, რომ მთელს ევროპაში სწორედ ამ კლუბის ქომაგად იცნობენ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ელამი კალმით

მიშა პროსტატიან...

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ, გაზეთი „ექსპორტ-იმპორტი“, სადაც ბენიტო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ინტეგრირების რედაქციას უძღვება, უსახსრობის გამო კარგა ხანია აუნაზღაურებელ საპონორარო რეჟიმზე გადავიდა, მაგრამ თავად ბენიტომ, ღვიძლის გადიდების თაობაზე ექიმთა მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ჭამა-ყლაპვისა და ღვინო-არყის ყლურწვის რიტმს ვერ და ვერ უღალატა. არაფერიაო, თავს ინუგეშებს ბენიტო, ღვიძლი იმისია, თუ ბევრს დალევ, გაიბერება, სმას მოუკლებ და – დაიჩუტებაო. იმ დღესაც, როცა ამ ამბავს შევესწარი, ნაბახუსევი ბენიტო საქმიანი კაცის იერით რომელიღაც ოპოზიციურ გაზეთს ჩაჰკირკიტებდა და შიგადაშიგ ცალკეულ საკითხებზე აღშფოთებას დაუფარავად გამოხატავდა.

– უყურე, ამ ოღრაშ სააკაშვილს, რეები უკეთებია, ტო! – ამოიქშინა ვეშაპივით ბენიტომ და წინა დღით ამფსონებთან ქეიფისას ნატკენი ხელი მაგიდაზე გამეტებით დაარტყა.

– ვაი! – ამოიკვნესა უფროსთან სათათბიროდ შესულმა ქუჩკორმა, ბენიტოს მიერ ქუჩის კორესპონდენტად მონათლულმა ტანხეხელა ვალერამ და მაგიდაზე დაგორებულ არყის ჭიქას გზა სასწრაფოდ გადაუკეტა.

– ვაის მოგცემ შენ! – შეუღრინა კოლეგას ბენიტომ, – მთელ დღეს ჭიქას რო მისჩერებიხარ, ნახე ქვეყანაში რა ამბები ხდება!

– რატო ჭიქას, ბატონო ბენიტო, გუშინ მთელ დღეს მუხლი არ ჩამიხრია, სადაც კი წავასწარი მაგ ძუკნა ნაცებს, ჩემი ცნობილი წერტილოვანი დარტყმებიდან ერთიც არ ამიცდენია.

– წერტილოვანი, წერტილოვანი! – გამოაჯავრა ბენიტომ ქუჩკორს, – შე ჩემა, ამერიკა ხარ, წერტილოვან დარტყმებს აყენებ? წერტილოვანი კი არა, დროა, ატომური დარტყმები ვაგემოთ მაგ ძაღლიშაქნილებს.

– კი ბატონო, მოგვცეს ამერიკამ ატომი (არ დაიბნა ვალერა) და ნახავთ, როგორ ვაგემებ.

– გაჩუმდი ერთი, რის მაგემებლები ვართ, – გააგრძელა ღრენა ბენიტომ, – ეგ ნაძირალა, ქვეყნის დამაქცევარი სააკაშვილი ვიდრე საქართველოში იყო, პროკურატურამ ბუზიც ვერ აუფრინა და ახლა, როცა საზღვარგარეთიდან გვემარიაჟება, ანგარიშსწორება მოუწადინა.

– მართალს ბრძანებთ, ბატონო, – სცადა უფროსის მოთაფვლა ქუჩკორმა, – ყველაფერი, როგორც თავად ნაცები ამბობენ, ჩემო ბატონო, ახლანდელი უნიათო ხელისუფლებისა და უხერხემლო პროკურატურის ბრალია.

– თავად სააკაშვილისა აღარაფერი? – აზიდა წარბები ბენიტომ, – გესმის, რას არახუნებ? მე, ამხელა დამსახურების მქონე ჟურნალისტს, ჭიქა არყის ფულიც არ მაბადია და მაგათ კიდევ საზღვარგარეთ რაღაც ეპილაციას-ბოტოქსების კეთებაში მილიონები უნდა გადაყარონ?

– აბა, კაცო, მეც მაგას არ ვჩივი?, – დაუმოწმა ვალერამ, – მაგ მუქთახორას ნორმალური მასაჟისტი მაინც ჩამოეყვანა ამერიკიდან, თურმე ისეთი ახვარი მოუძებნია, სულ კბენა-კბენით აგიჟებდა.

– ამ დამთხვეულს კიდევ გაგიჟება უნდოდა?

– მეც ეგ არ მიკვირს? თანაც, როგორც ამბობენ, მკბენავი მასაჟისტი გაცილებით ძვირი ღირებულა, ვიდრე თვინიერი. ვერ გამიგია, ჩვენი თავქერქეტა პრეზიდენტი ამ კბენაში რა სიამოვნებას პოულობდა?

– გააჩნია, სადა კბენდა, პრეისკურანტის მიხედვით ყველა ადგილს თავისი ფასი ადევს... – აუხსნა ბენიტომ ქუჩკორს.

– ჰო, რა თქმა უნდა – კვერი დაუკრა ვალერამ, – ჩემთვის ისიც გაუგებარია, უგულავამ, მაგალითად, გახდომა მაინც და მაინც ევროპაში რატომ მოინდომა?

– იმიტომ, რომ იქ გახდომა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე გაჭირვებულ საქართველოში. ეს შობელძაღლები ჩვენი ფულით რომ ძღებოდ-ტყვრებოდნენ ის არ კმაროდა, რომ ახლა კიდევ გახდომაც ჩვენ არ დაგვეფინანსებინა?

– გახდომას თავი გაანებე, ჩემო ბატონო, ეს ჩვენი ქვეყნის ამშენებელი პრეზიდენტი თურმე პროსტატის მკურნალობაშიც ბიუჯეტიდან მოპარულ ფულს იხდიდა.

– ეგ ვიღამ გითხრა? – წამოენთო ბენიტო.

– თავის პირით გვამცნო „რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. თანაც თავი იმართლა: რატომ გიკვირთ, „პრეზიდენტიც ადამიანია და ხანდახან პროსტატაც სტკივაო“.

– ვაი სირცხვილო, ნამდვილად ასე თქვა?

– ჰო, თქვა, აბა კი არ ვიგონებ, ალბათ, რომ რცხვენოდა, იმიტომ დაადო პრეზიდენტმა თავის კოსმეტიკურ ხარჯებს „გრიფით საიდუმლო“!

– რცხვენოდა კი არა და... – კიდევ ერთხელ შეიკურთხა ბენიტომ, – სააკაშვილი და სირცხვილი სად გაგონილა? ეგ ახვარი საერთაშორისო კლასის აფერისტი, პროვოკატორი და ავანტიურისტი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ პროსტატიანიც თუ აღმოჩნდებოდა, ამას კი ვეღარ წარმოვიდგენდი.

– ეგეც ყოფილა, ბატონო ბენიტო, ყოფილა. ამიტომაც შეარქვა ხალხმა ცხელ გულზე „მიშა პროსტატიანი!“

– მარტო ეგ რომ იყოს, რა უჭირს. მე სხვა რამეშიც მეპარება ეჭვი.

– რაში, ბატონო ბენიტო?

– რა ვიცი, ტო, ხომ შეიძლება, პროსტატიტი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იმპოტენციაში გადაზრდილიყო?

– მერე, თქვენ რა გადარდებთ.

– მოსალოდნელი შედეგი. მიშას თავქარიანობის ამბავი რომ ვიცი, ხომ შეიძლება იმპოტენციას შეჭიდებული პრეზიდენტი ამდენ შინაურ და გარეულ ქალებში სულაც უსაქმოდ დაყიალობდა და სახელმწიფო თანხებს ტყუილუბრალოდ ყრიდა?!

– აააა!? – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა ქუჩკორმა,.

– მოვითხოვ, – თქვა მთელი სერიოზულობით ბენიტომ, – პროკურატურამ, სამედიცინო ექსპერტებთან ერთად, ეს საკითხი გულდასმით გამოიკვლიოს და თუ ქალებში მორბენალი ლიდერი ცვედანი აღმოჩნდა, სააკაშვილს დანაშაული ათმაგად დაუმძიმოს!

ოტია ჩართოლანი

◎ ალიანჩალიანი

„კაზანტიპის რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე ვიზები და საკვები გაიაფდა

ფასდაკლებასთან დაკავშირებით წარწერები ზოგიერთი ბარის შესასვლელთან უკვე გამოკრულია. ზოგიერთ ბარსა და საკვებ ობიექტში ფასი 20%-დან 50%-მდე შემცირდა. მაგალითად, თუ ქართული სამზარეულოს ობიექტზე ხინკალი 2 ლარი ღირდა, დღეს ის უკვე 1 ლარი ღირს. შოთის პური 3 ლარი ღირდა, დღეს კი მისი ყიდვა 1 ლარად არის შესაძლებელი. კვების ობიექტებისგან განსხვავებით უცვლელი დარჩა საპირფარეშოში შესვლის ფასი, რომელიც დღესაც ლარნახევარი ღირს.

„კაზანტიპის რესპუბლიკის“ პრეზიდენტმა ფასებთან დაკავშირებით უკმაყოფილება რამდენიმე დღის წინათ გამოთქვა. როგორ ნიკიტა მარშუნოკმა განაცხადა, „კაზანტიპის რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე ასეთი დიდი ფასები არ უნდა ყოფილიყო, რადგან დაპირება სულ სხვა იყო. უკმაყოფილება მან საცხოვრებელი სახლების ფასებთან დაკავშირებითაც გამოთქვა.

ასევე გაიაფდა „კაზანტიპის“ ღონისძიებაზე დასასწრები ვიზები. როგორც პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო სტურუამ განაცხადა, შეესასვლელად ვიზის შეძენა დღეიდან 400 ლარის ნაცვლად 250 ლარად არის შესაძლებელი და ამ ვიზის მფლობელს „კაზანტიპზე“ დასწრება ღონისძიების ბოლომდე შეეძლება.

მისივე თქმით, ასევე გაიაფდა ერთდღიანი ვიზა და დღეიდან ის უკვე 100 ლარი ღირს.

სასულიერო პირებმა ნიკიტა I სატანად შერაცხეს

ანაკლიაში სასულიერო პირებმა „კაზანტიპის რესპუბლიკაში“ მიმდინარე მოვლენების ამსახველი ფოტოსურათები მიიტანეს. სასულიერო პირებმა და მათმა მრევლმა „კაზანტიპის რესპუბლიკის“ შესასვლელთან პარაკლისი გადაიხადეს და ილოცეს. როგორც დეკანოზმა დავით ისაკაძემ განაცხადა, ისინი საქართველოში გარყვნილების ჩატარებას აპროტესტებენ.

აქციაზე მივიდა თავად „კაზანტიპის რესპუბლიკის“ პრეზიდენტი ნიკიტა მარშუნოკი. მან მოინდომა სასულიერო პირებთან გასაუბრება. თუმცა, სასულიერო პირებმა მასთან დალაპარაკება არ ისურვეს. სასულიერო პირებმა პოლიციას მოუწოდეს, რომ ის ტერიტორიიდან გაეყვანათ.

როგორც სასულიერო პირები აცხადებენ, ნიკიტა მარშუნოკი იქ მისული იყო პროვოკაციის მოსაწყობად. ამასთან, მათ ნიკიტა მარშუნოკს სატანა უწოდეს.

ხსოვნა

ალექსანდრე (საშა) შანგუა

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე (საშა) შანგუა.

ბატონი ალექსანდრე 2006 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ-ს სოხუმის ფილიალს. მან ჩაატარა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია, რაც რთულად განსახორციელებელი იყო, მაგრამ მას წარმატებულად და ღირსეულად გაართვა თავი. ამ პერიოდში ასევე წარმატებულად დამტკიცდა დოქტორანტურის საფეხური, რასაც ბატონი საშა ყოველმხრივ ხელს უწყობდა. ამის შედეგადაც 2007 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი დაფუძნდა, როგორც დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულება – სსიპ „სოხუმის უნივერსიტეტი“.

ალექსანდრე შანგუა იყო ნიჭიერი, უნარიანი მკვლევარი. საგულისხმოა, რომ მან საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის ვ.ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა (სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნიკო ვახანია). ის 30-მდე სამეცნიერო გამოკვლევის ავტორია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნ.მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტთან, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. პროფესორი ალექსანდრე შანგუა წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია მან, როგორც პედაგოგმა, ასევე ჯერ თსუ სოხუმის ფილიალში, ხოლო შემდეგ სოხუმის უნივერსიტეტში.

მეტად ნაადრევად წავიდა ჩვენგან ნიჭიერი კაცი, რომლის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ბატონი ალექსანდრე შანგუას გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი.

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის

ლადო კარელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.
ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა არის დღეს მოქმედი კანონით სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველი? მინდა, ვიცოდე, აუცილებელია თუ არა 20 წლის სტაჟი იმისთვის, რომ ორ თვეში, როცა საპენსიო ასაკი შემისრულდება, შემდეგ მინიმალური სარჩო მაინც გამაჩნდეს?

ლუიზა პატარაია

პასუხი: ასაკით პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა. ასე რომ, 60 წლის შესრულების შემდეგ, თუ თქვენ ისეთი დაწესებულების თანამშრომელი არ იქნებით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, პენსია (სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად) თვეში 150 ლარის ოდენობით ყველა შემთხვევაში მოგეცემათ.

* * *

კითხვა: ვარ 35 წლის, გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. დამრჩა 3 მცირეწლოვანი შვილი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო ბავშვებისთვის პენსიის დასანიშნად.

ანა წულაძე

პასუხი: შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მცირეწლოვანი შვილებისთვის მამის გარდაცვალების გამო კომპენსაციის (და არა პენსიის) დანიშვნის საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144).

* * *

კითხვა: მყავს ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, რომელიც ამჟამად 15 წლისაა. მას ჩემს გარეშე არსებობა უჭირს. მაისის ბოლოს უწევს სამედიცინო კომისიაზე გასვლა. მეუბნებიან, თუ პირველი ან მეორე ჯგუფი არ დაუდგინეს, პენსია მოეხსნებაო. მართლა ასეა?

თეა ორმოცაძე

პასუხი: თქვენმა შვილმა დანიშნულ დროს აუცილებლად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალიწინებული პენსია მიეცემათ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ხელახალი გადამოწმების დროს ასეთი დახმარების საჭიროების დადგენის შემთხვევაში.

◎ დაინტერესდით!

კარგი იქნება, ეს ახალგაზრდობიდანვე იცოდეთ!..

აი, ელემენტარული რჩევები, რომლებიც ახალგაზრდობაში უნდა გაითვალისწინოთ, რათა ასაკში შესულებმა არ ინანოთ.

– ბავშვობა სრულდება, როგორც კი თქვენ პირველ ხელფასს მიიღებთ.
– უნდა წაიკითხოთ ბევრი „მოსაწყენი წიგნი“;
– ნუ გადაიქცევით ტელეზომბებად;
– ისწავლეთ მოსმენა – ყველასგან შეიძლება ინფორმაციის მიღება;
– პატივი ეცით თქვენზე უფროსი ადამიანების სიბრძნეს, მათ მეტი გამოცდილება აქვთ;
– გადაჭარბებული სიმორცხვე თქვენი მტერია;
– აირჩიეთ ერთგული მეგობრები;
– გარისკვა კარგია, როდესაც არაფერი გაგაჩნია;
– შეიცანით სამყარო;
– ფული უნდა გამოიმუშავოთ;
– აუცილებელია მოქმედების გეგმის ქონა;
– ყოველთვის იყავით ფორმაში;
– მხოლოდ მეხსიერებას არ ენდოთ;
– იოცნებეთ;
– ნუ ეცდებით, შეცვალოთ ადამიანები;
– გქონდეთ კონკურენციის გაწევის უნარი.

5 პროფესია, რომელიც ადამიანის ფსიქიკას ანადგურებს

ხანგრძლივი დაკვირვებებისა და კვლევის შედეგად ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა დაადგინეს თუ რომელი პროფესიის ადამიანებს ემართებათ ყველაზე ხშირად ფსიქიკური აშლილობა.

ჟურნალისტი – ზედაპირულობა ეს ჟურნალისტისთვის აუცილებელი თვისებაა. ჟურნალისტის პროფესია საკითხის დეტალურ ცოდნას არ მოითხოვს, რის გამოც მისი ინტერესი მიმართულია თემის „სიგრძე-სიგანეზე“ და არა სიღრმეზე. ბულალტერის მსგავსად პირად ურთიერთობებში სამსახურებრივი თვისებები ჟურნალისტებსაც მოყვებათ.

სამხედრო – ამ ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება მკაცრი დისციპლინის გარეშე. ფსიქოლოგების აზრით, ოფიცერი პროფესია კი არა ცხოვრების სტილია, მათ ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა და თუ ხუმრობენ მხოლოდ სპეციფიურად. ცნობილი ფაქტია, რომ პენსიაზე გასული სამხედრო პირის ოჯახის წევრები თავს „საოჯახო ტირანის“ ხელში გრძნობენ.

ბუღალტერი – არსებობს სახუმარო გამოთქმა: ბუღალტერი – ეს დიაგნოზია. ცნობილი ფაქტია, რომ ამ პროფესიის წარმომადგენელთა უმეტესობა იმდენად შედის როლში, რომ საკუთარი საქმის პრინციპები პირად ურთიერთობებშიც გადმოაქვს და სიზუსტისკენ მიისწრაფის. ბუღალტრის პროფესია ყველაფრის სწორად და ზუსტად კეთებას მოითხოვს, ამიტომაცაა, რომ ბუღალტრებს ყველაფერი ახალი და ექსტრემალური აშინებთ. გარდა ამისა ბუღალტრები პედანტები არიან.

იურისტი – ამ პროფესიის ადამიანებს ადვილად გამოარჩევთ ხალხის ტალღაში, მკაცრი კოსტიუმი, ხელში ქეისი, კონსერვატული ვარცხნილობა, თუმცა, ეს მხოლოდ გარეგნული მაჩვენებლებია. შინაგანად იურისტები საოცრად თავშეკავებულნი არიან, საუბრის დროს დაძაბულობას გრძნობენ თვითკონტროლის გამო და ცდილობენ, მაქსიმალურად გამოიყენონ პროფესიული ტერმინების მარაგი.

ექიმი – ეს პროფესია ადამიანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ექიმების ცინიზმი კი გახლავთ ორგანიზმის რეაქცია პაციენტების ტანჯვაზე, რომელსაც ექიმები ყოველდღიურად ხედავენ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ თუ ექიმის ცხოვრებაში რაიმე პირადი ტრაგედია მოხდება, ისინი ამას მშვიდი გულგრილობით შეხვდებიან, რაც ფსიქოლოგთა განმარტებით ფსიქოლოგიური პრობლემების ნიშანია.

ხოლო რაც შეეხება პროფესიებს, რომლებიც ადამიანში კმაყოფილებას იწვევს, მათი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რელიგიის მსახურები (თავს კარგად გრძნობს მათი 87%) მეხანძრეები (80%); ფიზიოთერაპევტები (78%); მწერლები (74%); მასწავლებლები (70%).

dainteresdit.ge

საქართველო ბრაზილიული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ინფორმაცია

ოლეგ მელნიკოვმა ციხე, შესაძლოა, დეკემბერში დატოვოს

მთავარ პროკურატურასა და ოლეგ მელნიკოვს შორის საპროცესო შეთანხმების დეტალები გახდა ცნობილი. როგორც ჟურნალისტებს პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც პროკურატურასა და მელნიკოვს შორის გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებას სასამართლო დაამტკიცებს, ოლეგ მელნიკოვს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ორი წლით პირობითი მსჯავრი, ორი წლით გამოსასწორებელი ვადა და ერთი წლით საჯარო სამსახურში საქმიანობის ჩამორთმევის უფლება განესაზღვრება.

„ინტერპოლით“ ძებნილი ოლეგ მელნიკოვი კიევში 2012 წლის 7 დეკემბერს დააკავეს. საქართველოში მისი ექსტრადიცია 2013 წლის 30 სექტემბერს განხორციელდა.

ორწლიანი პატიმრობა, რომელსაც მელნიკოვს საპროცესო გარიგების შემთხვევაში შეეფარდება, სწორედ 2014 წლის დეკემბერში ამოიწურება.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

იდეალური ქმარი – ეს არის მამაკაცი, რომელიც მიიჩნევს, რომ მას იდეალური ცოლი ჰყავს.

* * *

მხოლოდ რუსეთში შეიძლება წამოიწყონ შემოწმება შემოწმების წინ, რათა შეამოწმონ, თუ რამდენად არიან მზად თანამშრომლები შემოწმებისთვის.

* * *

ინტერნეტი – ეს მასობრივი განადგურების ყველაზე ჰუმანური იარაღია.

* * *

– **ვადიმ**, სად იყავი ბოლო სამი დღე?
– ვსვამდი.
– ხომ არ მიღალატე?
– აბა, რა ვიცი, დაშა, ხომ გითხარი, ვსვამდი-მეთქი!..

* * *

– **ის** კი არ არის იმდენად ცუდი, რომ ბედნიერების ყიდვაა შეუძლებელი, არამედ ის, რომ უბედურების გაყიდვაა შეუძლებელზე მეტი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24